ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 15 სექტემბერი, 2020 | №194 (8458) | ფასი: 60 თეთრი

## „თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა ვილა „ალგეთიდან“ არის მიყვანილი იქ, სადაც იპოვეს“



რა უთხრეს ელისო კილაძეს აშშ-დან

გვ.5

# „სააკაშვილს სურს, ქვეყანა ერთპარტიულად მართოს, ჩვენი ამოცანა კი ივანიშვილის დამარცხებაა“



გვ.2

„სააკაშვილიზმი უნდა დამთავრდეს!“

## „ახალი სახეების შემოყვანით საბჭოური პრაქტიკა მეორდება“

მამუკა გიორგაძე: „ორი-სამი ჯანსაღი, დამოუკიდებელი და გამოცდილი პოლიტიკოსი ქართულ პოლიტიკურ თეატრს დაასრულებდა“



გვ.4

აკაკი ბობოხიძე: „თალაკვაძეც პორტირებულია და კალაძეც, კობახიძე კი პირდაპირ მოსკოვთან იყო კავშირზე“



# „ოცნებას“ 56% არ ექნება“



გვ.3



თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ოცეულში არიან ადამიანები, რომლებიც, მაგალითად, მე არ მესიმპათიურებიან და არის რამდენიმე ჩემი ნაცნობიც. მაინცდამაინც ვერც ცუდს ვიტყვი და ვერც კარგს. ნორმალური სიაა“

## „ეს არჩევნები მაინც არაპროგნოზირებადად რჩება“



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „გადამწყვეტი იქნება არჩევნების წინა რამდენიმე დღე, რადგან მცირე ნაპერწკალმაც კი, შეიძლება, რადიკალურად შეცვალოს არა მხოლოდ კონკრეტული პარტიის, არამედ ქვეყნის განვითარების ბედიც კი“

## „ქართული ოცნების“ მესამედ მოსვლა გამორიცხულია“

გვ.4



დიმიტრი ლორთქიფანიძე: „31 ოქტომბრის არჩევნები ყველა აქამდე ჩატარებული არჩევნებისაგან აბსოლუტურად განსხვავდება ტექნიკური რეგლამენტით, შინაარსით. უპრეცედენტო რაოდენობის პარტია მონაწილეობს“



გვ.2

## ხათუნა გოგორიშვილი: „სასწავლო წლის დაწყება პედაგოგების მასობრივი ტესტირების გარეშე დანაშაულია“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 გიორგი ვაშაძე: „გახარიას პასუხს ველოდები“

2 300 მიკროავტობუსი 30 მილიონად — თბილისის მერიის საეჭვო ტენდერი

5 თამთა ჯანჯღავა სტამბოლში ქმარმა მოკლა და გაიქცა — პოლიცია ირაკლი შურღაიას ეძებს

6 ნაველნი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნეს

# „სააკაშვილს სურს, ქვეყანა ერთპარტიულად მართოს, ჩვენი ამოცანა კი ივანიშვილის დამარცხებაა“

## აკაკი ბობოხიძე: „თალაკვაძეც პორტირებულია და კალაძეც, კობახიძე კი პირდაპირ მოსკოვთან იყო კავშირზე“

 იაგო ნაცვლიშვილი

**პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ როდესაც „ევროპული საქართველოს“ ლიდერი ციხეში ჩასვეს, მას ოპოზიცია „ტანკად“ მოიხსენიებდა და აინტერესებს, სად არის „ტანკი“. თალაკვაძემ ამით ოპოზიციას საარჩევნო კამპანია და აქტიურობა დაუწუნა.**

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „9 წლის ძახილში“ ამჯერად თალაკვაძე იქნება „ლიდერი“, რა პასუხი აქვთ უგულავას პარტიაში ამაზე და რა პროცესებს ელოდებიან კორონავირუსის კვალდაკვალ? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **აკაკი ბობოხიძე** საუბრობს.

***– პარტიების ქცევის კოდექსი მომზადდა. მოაწერეთ თუ არა მას ხელი „ევროპულმა საქართველომ“ და რას გულისხმობს ეს თქვენი გაგებით?***

– არ ვიცი, არ წამიკითხავს და არ გავცნობივარ მას. 2.5 თვეზე მეტია, გადართული ვარ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში და მაქვს შეხვედრები. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, ოღონდ, იმიტომ კი არა, რომ არ მინდა პასუხის გაცემა, არამედ მართლა არ ვიცი, თორემ კითხვებზე პასუხებს არ გავურბივარ. 1 თვეზე მეტია, ტელევიზორისთვისაც კი არ მიყურებია.

***– „პალიტრანიუსის“ ეთერში პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ისაუბრა თქვენი პარტიის ლიდერ გიგი უგულავაზე და თქვა, რომ როცა ის დაიჭირეს, მაშინ ოპოზიცია ამბობდა, ტანკი იყოო. ახლა სად არის, სად გაქრა ეს ტანკიო, ანუ, ფაქტობრივად, აქტიურობა დაგიწუნათ. რა პასუხი გაქვთ ამაზე?***

– ის, რომ გიგი უგულავა იჯდა ციხეში, არის ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა და დანაშაული, ხოლო ის, რომ არჩილ თალაკვაძე იჯდა ხელისუფლებაში და 2012 წლამდე სხვადასხვა თანამდებობაზე იყო, არის წინა ხელისუფლების შეცდომა.

***– რატომ, რა გაქვთ მხედველობაში?***

– შეცდომაა. არჩილ თალაკვაძისნაირი კაცი ჩვენთან ერთად არ უნდა ყოფილიყო.

***– არჩილ თალაკვაძე ნაციონალური მოძრაობიდან არის პორტირებული „ქართულ ოცნებაში“ და ამას უსვამთ ხაზს?***



– რა თქმა უნდა. ბიძინა ივანიშვილიც კი პორტირებულია. ბიძინა ივანიშვილი №5-ით დარბოდა 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე. კახი კალაძეც პორტირებულია. რომელი არ არის პორტირებული?! მათ პორტირება „ქართულ ოცნებაში“ მას შემდეგ გააკეთეს, რაც, თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ მოვიდნენ წინა ხელისუფლებასთან უნისონში.

***– იკითხეთ, რომელი არ არის პორტირებულიო და, მგონი, ირაკლი კობახიძე არ არის. არ მეთანხმებით?***

– კობახიძე არ არის პორტირებული, იმიტომ, რომ კობახიძე პირდაპირ რუსულ კავშირებზე იყო და უშუალოდ მოსკოვთან იყო კავშირზე.

***– იმას გულისხმობთ, რომ ბურჯანაძესთან და მის პარტიასთან ჰქონდა რაღაც კავშირები?***

– არა, პირველ რიგში – საკუთარ მამასთან.

***– მამამისი პრორუსია?***

– ჰკითხეთ და, ალბათ, დაადასტურებს.

***– არჩილ თალაკვაძის ეს გამოსვლა ნიშნავს თუ არა იმას, რომ თალაკვაძე იქნება ერთ-ერთი, ვინც წარსულზე ილაპარაკებს?***

– არა, არჩილ თალაკვაძის გამოსვლა არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერაფერს სთავაზობს საქართველოს მოსახლეობას თავისი სახელით. ერთი იმით ტრაბახობდნენ, რომ კოვიდ 19 დაამარცხეს და აღმოჩნდა, რომ დამარცხებული კი არ არის, არამედ ყველაფერი წინ გველოდება. ყველაფერი უტვინოდ გააკეთეს. იმის ნაცვლად, რომ ქვეყანა გაეხსნათ 3 თვის წინ, როდესაც ტურიზმის სეზონი იყო, ახლა გვეუბნებიან, ვერ დავკეტავთო. ამდენ ხანს რატომ ვკეტავდით, ეგ არ მესმის. რატომ გავაღარიბეთ და გავაჩანაგეთ ეს ქვეყანა?!

ერთადერთი სალაპარაკო ეს ჰქონდათ, რომ კოვიდს მოერივნენ, მაგრამ დღეს ირკვევა, რომ ამაშიც, ისევე, როგორც ყველაფერში, უბრალოდ, უვარგის ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე.

***– ამ შემთხვევაში ხელისუფლების არათანმიმდევრულობაზე საუბრობთ თუ საუბრობთ იმაზე, რომ ვიწროპარტიული ინტერესების მიხედვით მოქმედებდნენ?***

– ხელისუფლების უგუნურობაზე ვსაუბრობ პირველ რიგში. ის, რომ საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესები ანაცვალეს ქვეყნის ინტერესებს, ეგეც უგუნურობაა, იმიტომ, რომ შეუძლებელია ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფით საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ბოლომდე დაცვა.

***– რას ელოდებით ამ მიმართულებით? საუბრობენ არჩევნების შესაძლო გადადებაზე.***

– არა, „ქართული ოცნება“ არჩევნებს ვერ გადადებს, იმიტომ, რომ წინ საშინელი ზამთარი გველოდება. ბიუჯეტი დაცარიელებული აქვთ და „ქართული ოცნება“ მიდის ვაბანკზე. ან ახლა რამენაირად უნდა მოიგონ არჩევნები, თორემ შემდეგ კიდევ უფრო უარესი და მძიმე მდგომარეობა გვექნება, რაზეც „ოცნებას“ პასუხისგება მოუწევს.

***– მათ დაიწყეს რეიტინგებით მანიპულაციები. გამოქვეყნდა „იმედის“ ეთერით „გორბის“ რეიტინგები. როგორ გგონიათ, ეს საზოგადოებაზე გავლენას არ იქონიებს?***

– მხოლოდ ბრიყვებზე.

***– გგონიათ, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, „ქართული ოცნება“ მაინც წააგებს არჩევნებს?***

– რა თქმა უნდა.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს, მაშინ როდესაც არც ისე აქტიურად ჩანს ოპოზიცია?***

– „ქართულ ოცნებას“ 50%-ზე მეტი არც ერთ არჩევნებზე არ აუღია 2012 წლის შემდეგ და, მანამდე თუ ჰყოფნიდა 48%, იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო სისტემა აღარ არის 77/73-ზე, ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს წააგებს. მთავარია, ქართული ოპოზიცია მოვიქცეთ გონივრულად.

***– თუმცა არის კოვიდი, რომელიც უწყობს ხელს ამ პროცესს „ოცნების“ სასარგებლოდ. ამომრჩევლის რაღაც ნაწილი შეუშინდება ვირუსს და საერთოდ არ წავა არჩევნებზე. „ოცნება“ ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებას, ალბათ, მოახდენს.***



– ამიტომ ვთქვი, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს არ გადადებს და ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ეგეც იქნება იმისა, რომ არ გადადოს. ვაბანკზე მიდიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რამენაირად ახლა მოიგონ არჩევნები, იმიტომ, რომ შემდეგ ამის თეორიული შანსიც კი არ ექნებათ. ამ ეტაპზე აქვთ შანსი, ოღონდ მხოლოდ – თეორიული.

***– სააკაშვილი ხომ არ უწყობს ხელს იმას, რომ რაღაცნაირად მისგან ისევ საფრთხობელა შექმნან და ისევ ორპოლუსიანობაში გადავიდეს ბრძოლა?***

– მესმის სააკაშვილის. მას უნდა, რომ ერთპარტიულად მართოს ქვეყანა. მისთვის მთავარია, მისი პარტია იყოს უმრავლესობაში და იმის იქით აღარ იხედება. მისთვის მთავარია, პოლარიზებული იყოს გარემო, ამომრჩევლის ნაწილი იყოს მასთან, ხოლო მეორე ნაწილი – ხელისუფლებასთან. მისი ამომრჩევლის რაოდენობამ თუ აჯობა ხელისუფლებისას, ხომ კარგი, თუ არადა, დაელოდება 2024 წელს.

სააკაშვილს აქვს მოთმენის რესურსი, მოთმენის უნარისგან განსხვავებით. მას შეუძლია, დიდხანს გაუძლოს, მაგრამ ამას ვერ გაუძლებს საქართველოს მოსახლეობა და ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, სააკაშვილს რა უნდა, ჩვენი ამოცანაა, დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი.

არ არის სააკაშვილი ამ ეტაპზე მთავარი. მთავარია, როგორ დავამარცხოთ ბიძინა ივანიშვილი.

# გიორგი ვაშაძე: „გახარიას პასუხს ველოდები“



– ეს არის ტესტი გახარიასთვის. ის ან არის ღია ადამიანი, რომელსაც არ ეშინია დებატების, როგორც ეს დასავლურ ცივილიზაციებშია, ან ის არის ჩვეულებრივი რუსული მენტალობის ადამიანი, კარგი კავშირები აქვს რუსეთთან, სადაც დებატები პუტინთან არასდროს ყოფილა – მარტივი არჩევანია.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

ვაშაძე იმედოვნებს, რომ გიორგი გახარია „არ დაფრთხება და დებატების არ შეეშინდება“.

– ველოდები პასუხს ბატონი გახარიასგან. დაემალება ის ხალხთან საჯარო საუბარსა და დებატებს პრემიერ-მინისტრობის სხვა კანდიდატთან თუ არ შეეშინდება და გამოვა და ვისაუბრებთ ყველა საკითხზე, – განაცხადა ვაშაძემ.

ამასთან, როგორც ის აღნიშნავს, მაჟორიტარულ ოლქებში დებატებზე გაცილებით მნიშვნელოვანი ქვეყნის განვითარების გეგმაზე დებატებია.

– პრემიერმინისტრობის კანდიდატი ვარ ყველაზე მზარდი მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიის. კვლევებში ოპოზიციური ამომრჩევლის უმრავლესობა სწორედ მე და ჩემს გუნდს გვიჭერს მხარს. ვართ კონკრეტული გეგმითა და სტრატეგიით. მაჟორიტარულ ოლქებში დებატებზე გაცილებით მნიშვნელოვანია დებატები ქვეყნის განვითარების გეგმაზე, სტრატეგიაზე მსჯელობა და ამიტომ მე მაინტერესებს მისი პასუხები, რატომ არ შეასრულეს არც ერთი დაპირება 8 წლის განმავლობაში. მე მაინტერესებს, ისევ აპირებენ, რომ ხალხი მოატყუონ? რა იცვლება მასში? – განაცხადა ვაშაძემ.

# ხათუნა გოგორიშვილი: „სასწავლო წლის დაწყება პედაგოგების მასობრივი ტესტირების გარეშე დანაშაულია“

„ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის ოლქში, ხათუნა გოგორიშვილი, დაავადებათა კონტროლის გურიის ცენტრს მიმართავს, ჩაუტაროს მასწავლებლებს ტესტი კორონავირუსზე.

ხათუნა გოგორიშვილის თქმით, მასწავლებლებისთვის ტესტის არჩატარება არის დანაშაული და უპასუხისმგებლობა.

ის მიმართავს შესაბამის ორგანოებს, არ დაუშვან სასწავლო წლის დაწყება ისე, რომ მასწავლებლებს არ ჩაუტარდეთ ტესტი.

– სასწავლო წლის დაწყება პედაგოგების მასობრივი ტესტირების გარეშე დანაშაულია!!! ბოლო ერთი კვირაა გურიამ, სამწუხაროდ, დაკარგა კოვიდ „მწვანე ზონის“ სტატუსი. ამ წუთის მდგომარეობით კოვიდ ინფიცირებულთა რაოდენობამ 23-ს მიაღწია. მათ შორის 4 პედაგოგია. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩხაკაურასა და სოფელ ზოტის მასწავლებლებს დაუდგინდათ კოვიდ-19. აგრეთვე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფიცირებულებს შორისაა სოფელ ქვედა ბახვის 2 პედაგოგი. ამ ოთხი სოფლის სკოლებში ხვალ სწავლა არ დაიწყება, მაგრამ სწავლა დაიწყება სამივე მუნიციპალიტეტის ათეულობით სხვა სკოლაში.

მინდა, მივმართო დაავადებათა კონტროლის გურიის რეგიონის ხელმძღვანელს არჩილ მჟავიას: სასწავლო წლის დაწყება პედაგოგების მასობრივი ტესტირების გარეშე არათუ უპასუხისმგებლობა, არამედ დანაშაულია!!! გასაგებია, რომ თქვენთვის, როგორც „ოცნების“ ჩინოვნიკისთვის ივანიშვილის მონური მორჩილება მთავარი პრიორიტეტია. ალბათ ამიტომაც ჩაატარეთ გუშინ უფასო ტესტირება შეკვეთილში, „მუსიკოსების პარკში“. მთავარია, ბიძინას გარემოცვა და მომსახურე პერსონალი იყვნენ ჯანმრთელები (იყვნენ, ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია!).

ბატონო არჩილ, იქნებ სხვა ადამიანებზეც გეფიქრათ?! ჩაგეტარებინათ პედაგოგების მასობრივი ტესტირება, ან ბაზრები, სავაჭრო ცენტრები და თავშეყრის სხვა ადგილები შემოგევლოთ მსგავსი აქციით!

ხვალ გურიის სკოლებში ათეულობით ათასი ბავშვი აპირებს შევიდეს საკლასო ოთახებში, სადაც შეიძლება ინფიცირებული პედაგოგი დახვდეს. თუ პედაგოგების დენდროლოგიურ პარკში კოლექტიურ ექსკურსიებსაც გავითვალისწინებთ, ამის ალბათობა მაღალია.

განსაკუთრებით მინდა მივმართო გურიის რწმუნებულს ზურაბ ნასარაიას, ოზურგეთის მერს კონსტანტინე შარაშენიძეს, ჩოხატაურის მერს ირაკლი კუჭავას, ლანჩხუთის მერს ალექსანდრე სარიშვილს: გამოიჩინეთ პასუხისმგებლობა და არ დაუშვათ სასწავლო პროცესის დაწყება პედაგოგებისა და სკოლის სხვა პერსონალის მასობრივი ტესტირების პროცესის გარეშე! – აცხადებს ხათუნა გოგორიშვილი.

# 300 მიკროავტობუსი 30 მილიონად

## თბილისის მერიის საეჭვო ტენდერი

თბილისის მერიას 300 ცალ მიკროავტობუსს კომპანია „ჯი-თი გრუპი“ მიაწვდის. 30-მილიონიან ტენდერში, რომელიც მერიამ 3 თვის წინ გამოაცხადა, კომპანია „ჯითი გრუპმა“ კონკურსის გარეშე გაიმარჯვა.

მისმა ერთადერთმა კონკურენტმა კომპანიამ მერიას მიკროავტობუსები ნახევარი მილიონი ლარით იაფად შესთავაზა, თუმცა „ჰიუნდაი ავტო ჯორჯია“ კონკურსს სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის გამო გამოეთიშა.

„მთავარის“ ინფორმაციით, სატენდერო მოთხოვნებში ისეთი პირობები იყო გაწერილი, რომლებსაც რამდენიმე დისტრიბუტორს შორის მხოლოდ „ჯი-თი გრუპი“ აკმაყოფილებდა. ამიტომ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ დედაქალაქის მერიამ ტენდერი კონკრეტულ კომპანიას მოარგო.

ეჭვს ამყარებს ისიც, რომ კომპანიის მმართველები გიორგი გველესიანი და თემურ უსტიაშვილი „ქართული ოცნების“ შემომწირველები არიან. გველესიანმა მმართველ პარტიას 60 ათასი ლარი – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, 2018 წელს კი სალომე ზურაბიშვილს გადაურიცხა. უსტიაშვილმა 60 ათასი ლარი „ქართულ ოცნებას“, ასევე, 2016 წლის არჩევნებამდე გადაურიცხა.

როგორც აღმოჩნდა, „ჯი-თი გრუპში“ მხოლოდ ხელმძღვანელები არ არიან „ქართული ოცნების“ მიმართ კეთილგანწყობილნი. კომპანიის ერთ-ერთი მეწილე, ლევან გოგსაძე, ასევე, „ქართული ოცნების“ შემომწირველია. მანაც, თანამშრომლების მსგავსად, მმართველ პარტიას 60 ათასი ლარის ოდენობით თანხა 4 წლის წინ გადაურიცხა.

ოპოზიციის განმარტებით, მერია საბიუჯეტო თანხებს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ კონკრეტულ პირებსა თუ კომპანიებზე ხარჯავს.

დარგის სპეციალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მერიამ ტენდერი „ჯი-თი გრუპს“ მოარგო.

მათი თქმით, პირველი შემთხვევა არ არის, როცა მერია კონკრეტულ პირებს ლობირებს და ამით ბაზარზე კონკურენციასაც ანადგურებს და სახელმწიფო ბიუჯეტსაც ფლანგავს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ 56% არ ექნება“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ოცეულში არიან ადამიანები, რომლებიც, მაგალითად, მე არ მესიმპათიურებიან და არის რამდენიმე ჩემი ნაცნობიც. მაინცდამაინც ვერც ცუდს ვიტყვი და ვერც კარგს. ნორმალური სიაა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**





***– ბატონო თორნიკე, „ქართულმა ოცნებამ“, ოპოზიციურ პარტიებთან ერთად „ქცევის კოდექსს“ მოაწერა ხელი. ორივე მხარე თვლის, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცესია და არჩევნების დემოკრატიულ პროცესში ჩატარებას შეუწყობს ხელს. რამდენად გჯერათ, რომ ასე იქნება?***

– რა გითხრათ, ერთმანეთის ლანძღვას რომ ვერ მოეშვებიან, ეს ყველამ ვიცით. შეიძლება, საჯარო გამოსვლებში, ტრიბუნაზე არ ლანძღონ ერთმანეთი, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ოპოზიციის მომხრეები ცოცხლად ჭამენ ერთმანეთს. თუ ხელისუფლების ცვლილებას აპირებენ, ეს კარგი საქციელი ნამდვილად არ არის. ეს ბევრი არაფრის მომტანი იქნება. ოპოზიციის მომხრეები ისე გადაკიდებული არიან ერთმანეთზე, ვხედავთ, რა ტექსტებით საუბრობენ ერთმანეთზე, სამწუხაროდ, ეს ფორმალობა უფროა, თუმცა სულ არაფერს სჯობია.

***– ბატონო თორნიკე, ენდიაის კვლევები გამოქვეყნდა. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 88% არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, თუმცა აქედან 59%-მა არ იცის, ვის უნდა მისცეს ხმა. საკმაოდ დიდი ნაწილი ცვლილებების მომხრეა. ელოდებით სიტუაციის რადიკალურად ცვლილებას?***

– არა მგონია, რადიკალური ცვლილებები იყოს. კი ბატონო, მოსახლეობის დიდ ნაწილს ცვლილებები უნდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მაინცდამაინც ხელისუფლების ცვლილებას. ეს ბოლო კვლევები ცოტა არათანმიმდევრულია. მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი კითხვას არ პასუხობს.

***– „ქართული ოცნების“ ლიდერები, როგორც წესი, უნდობლობას უცხადებენ ენდიაის კვლევებს და გორბის მიერ ჩატარებულ კვლევებს ენდობიან, რომლის მიხედვითაც „ოცნებას“ 56%-იანი მხარდაჭერა აქვს. ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ? ზედმეტად გაბერილი ხომ არ არის ეს ციფრები?***

– არა მგონია, რომ 56% ჰქონდეს. კი ბატონო, ყველაზე მეტი აქვს, მაგრამ არა – 56%. შეიძლება, ვინც პასუხი გასცა, იქიდან 56% იყოს, მაგრამ პასუხს ბევრი არასწორად სცემს, ზოგი საერთოდ არ სცემს და ესეც ხომ გასათვალისწინებელია. ამხელა პროცენტი ნამდვილად არ ექნება.

***– ბატონო თორნიკე, იმდენად გართულდა ქვეყანაში ეპიდსიტუაცია, ამბობენ, შესაძლოა, სულაც არჩევნების გადადების საკითხიც დადგესო. ჩატარდება არჩევნები, როგორ ფიქრობთ?***

– ჩემი აზრით, აუცილებლად მივალთ არჩევნებამდე და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, არჩევნების გადადება არ აწყობს ხელისუფლებას. ის სპეკულაციები, რომ თითქოს ხელისუფლებას არჩევნების გადადება უნდა და შემოყარა კოვიდის მაღალი სტატისტიკა, ეს არის, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი სისულელე და შეთქმულების თეორია. ნებისმიერი კვლევები ადასტურებს, რომ „ოცნება“ პირველ ადგილზეა. ამიტომ უნდათ, რაც შეიძლება, სწრაფად ჩაატარონ არჩევნები, არ გადაავადონ. მეორე საკითხი, უშუალო კოვიდს რაც შეეხება, ძირითადად გავრცელების არეალი არის აჭარა და ცდილობენ ამ კერის ლოკალიზებას. თუ ეს მოხერხდა, მგონი, კატასტროფულ სიტუაციასა და მასშტაბურ გავრცელებას თავიდან ავიცილებთ.

***– შეძლებენ ვირუსის ეფექტურ მართვას, თუნდაც როგორც ეს წინა თვეებში მოახერხეს?***

– ჩვენი ექიმები და ჯანდაცვის სისტემა მიეჩვია ამ ვირუსთან ბრძოლას. კარგად იციან უკვე, რაც უნდა გააკეთონ და ამ მაღალი რიცხვების ისე აღარ ეშინიათ, როგორც ეშინოდათ გაზაფხულზე. დღეს ეს ტენდენცია ნათლად გამოიკვეთა.

***– ანუ ის მკაცრი რეგულაციები, ჩაკეტვა, კარანტინი და კომენდანტის საათი აღარ გვემუქრება?***

– არა, გამორიცხულია, იმიტომ, რომ მთელი მსოფლიო ამ გზას დაადგა, ჩაკეტვას აღარავინ აპირებს.

***– ისრაელმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, სამი კვირით მკაცრი კარანტინი გამოაცხადა.***

– მხოლოდ სამი კვირით, იმიტომ, რომ რელიგიური დღესასწაულები მოდის, მოგეხსენებათ. უფრო ამის გამო მოხდა. კიდევ ერთხელ ჩაკეტვას ჩვენი ეკონომიკა ვერ გაუძლებს და მეორეც, ამასობაში ეს ვირუსი, ასე თუ ისე, გაიცნო ყველამ. ვფიქრობ, მოსახლეობა აითვისებს იმ წეს-ჩვეულებებს, რომელთა საშუალებითაც შეძლებს, ამ ვირუსს გაუმკლავდეს, თუმცა არსებობენ ჩვენ გარშემო ისეთები, რომლებსაც ამ ვირუსის არ სჯერათ, მაგრამ ეგეთები ყველა ქვეყანაში არიან.

***– არცთუ ისე ცოტანი არიან, ვისაც არ სჯერა ამ ვირუსის... ბევრი ხელისუფლებას აბრალებს, რომ სწორედ მათ სჭირდებათ ეს გაბერილი სტატისტიკა. ამაზე რას იტყვით?***

– კარგით, რა, რაში უნდა სჭირდებოდეთ, ეს ჩემთვის გაურკვეველია. ამას არანაირი რაციონალური ახსნა არა აქვს. დღეს ხელისუფლებას ყველა სიტუაციაში აწყობს არჩევნების ჩატარება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ იგებს ამ არჩევნებს.

***– ბატონო თორნიკე, გასული კვირის ბოლოს „ქართულმა ოცნებამ“ პირველი ოცეული დაასახელა. ბევრი არ ელოდა გახარიას პირველნომრობასა და მომავალ პრემიერად დასახელებას...***

– მე ველოდი და ამას ყოველთვის აღვნიშნავდი, რადგან ამ ეტაპზე „ოცნებისთვის“ გახარია შეუცვლელია.

***– ოპოზიცია მიიჩნევს, რომ გახარიას პირველნომრობა და ზოგადად „ოცნების“ ოცეული საზოგადოების შეურაცხყოფაა. რას იტყვით თქვენ?***

– რამდენად არის საზოგადოების შეურაცხყოფა, ეს გამოჩნდება არჩევნებზე. დავინახავთ, რამდენ ხმას მიიღებს ხელისუფლება და რამდენს – ოპოზიცია. ასეთი განცხადებები, რომ შეურაცხყოფაა და ასე შემდეგ, ცოტა არ იყოს, ლირიკული ხასიათისაა. ყველაფერი გამოჩნდება არჩევნებზე.

***– პირადად თქვენ როგორ აფასებთ პირველ ოცეულს?***

– ამ ოცეულში არიან ადამიანები, რომლებიც, მაგალითად, მე არ მესიმპათიურებიან და არის რამდენიმე ჩემი ნაცნობიც. მაინცდამაინც ვერც ცუდს ვიტყვი და ვერც კარგს, ნორმალური სიაა. ამ ოცეულიდან რამდენიმეს ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ. განსაკუთრებით იმათ, მეორე ათეულში ვინც არიან.

***– დარჩნენ ისევ ძველი და არაპოპულარული სახეებიო, კობახიძე, თალაკვაძე, მდინარაძე, წულუკიანი...***

– სწორედ ამიტომ გითხარით, რომ მეორე ათეული მომწონს და არა პირველი.

***– რატომ გახდა თეა წულუკიანი ასეთი შეუცვლელი პერსონა?***

– ამის თქმა მიჭირს. დიდი ხანია, „ოცნებაშია“, ალბათ, იმიტომაც, რომ დამსახურებაც აქვს და ასევე იმიტომ, რომ ბევრი ცუდიც იცის „ოცნებაზე“.

***– ბატონო თორნიკე, ასევე ითქვა ისიც, რომ კახი კალაძეს ვერ შეურყიეს პოზიციები, რაზეც სულ იყო საუბარი. საკმაოდ მაღალი კვოტით არის მისი გუნდი წარმოდგენილი თუნდაც ამ პირველ ოცეულში. ამაზე რას იტყვით?***

– ასე მარტივი არ იქნებოდა კალაძის პოზიციების შერყევა და მეორეც, არჩევნების წინ ჩხუბი და დაპირისპირება ნამდვილად არ სჭირდებოდათ.

***– თქვენ აცხადებთ, რომ „ოცნებისთვის“ 56%, ბევრია. რა ვარაუდები გაქვთ, კოალიციურ მთავრობას შექმნიან თუ შეძლებენ დამოუკიდებლად მთავრობის დაკომპლექტებასა და უმრავლესობის ჩამოყალიბებას?***

– მაჟორიტარებთან ერთად აქვთ შანსი, რომ დააკომპლექტონ უმრავლესობა. ჩემი აზრი ასეთია. დღევანდელი განლაგებიდან გამომდინარე, სრულიად რეალისტურია, რომ აიღონ 25 ადგილი.

***– საკმაოდ ბევრი ოპოზიციური პარტიაა წარმოდგენილი. აქედან რამდენ პარტიას ვიხილავთ პარლამენტში?***

– „ოცნება“, ნაცმოძრაობა, „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი“, პატარა ვაშაძე, ალბათ, ლეიბორისტები, „ლელო“, ასევე შანსი აქვს ბურჯანაძესაც. სულ ეს არის. შესაძლოა, „გირჩიც“. არანაირ ჩაკეტვებსა და იზოლაციებს არ ელოდოს მოსახლეობა. ძალიან მალე გამოჩნდება, რომ ეს მხოლოდ გიჟური კონსპირაციები და თავიდან ბოლომდე დიდი ტყუილი იყო.



# „ეს არჩევნები მაინც არაპროგნოზირებადად რჩება“

## ლევან ალაფიშვილი: „გადამწყვეტი იქნება არჩევნების წინა რამდენიმე დღე, რადგან მცირე ნაპერწკალმაც კი, შეიძლება, რადიკალურად შეცვალოს არა მხოლოდ კონკრეტული პარტიის, არამედ ქვეყნის განვითარების ბედიც კი“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო ლევან, „ენდიაის“ ბოლო კვლევით ამომრჩევლის 70%-ზე მეტი გადაუწყვეტელია. შესაბამისად, ისინი აცხადებენ, რომ პარტიების რეიტინგების გამოქვეყნებას აზრი არ აქვს, რადგან არჩევნების შედეგებთან ცდომილებაში იქნება. რას გეუბნებათ ეს პროცენტი?***

– ეს მოცემულობა, ვფიქრობ, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ, რა მდგომარეობაშია ზოგადად პარტიული სისტემა ქვეყანაში და ამას ემატება გაზაფხულის შემდეგ არსებული რეალობაც. ამ პირობებში, ბუნებრივია, რომ ამომრჩეველი არ იყოს ჩამოყალიბებული. ის სულ სხვა რამეზე ფიქრობს, სულ სხვა რამეზე წუხს და სხვაგვარად მოქმედებს.

ბუნებრივია, პოლიტიკურ პარტიებს მოუწევთ ამ რეალობისთვის თვალებში ჩახედვა და ანგარიშის გაწევა.

***– ნიჰილისტური განწყობებიც იკითხება?***

– არა მხოლოდ. სუსტად განვითარებული და არადემოკრატიული პარტიული სისტემა, ცხადია, არის ნიჰილიზმის საფუძველი, მაგრამ ამას სხვა ფაქტორებიც ემატება და ეს აისახა ამ მაჩვენებლებში. ძალიან დიდ როლს თამაშობს კორონას ფაქტორი, რომელიც ძალიან დამთრგუნველია. შესაბამისად, ამ მოცემულობაში მყოფ ადამიანს, რომელსაც არა მხოლოდ ყოფიერება გაუუარესდა, რომელმაც არა მხოლოდ, მაგალითად, სამსახური დაკარგა, არამედ ამას დაემატა დაავადების, ავადმყოფობის საფრთხის მოლოდინი. ეს ძალიან მძიმე მდგომარეობაა ნებისმიერი ადამიანისთვის. ამ ვითარებაში ის აბსოლუტურად განსხვავებულად ფიქრობს და მოქმედებს, ამას, რასაკვირველია, ჩვენი პარტიული სისტემა ვერ გაჰყვა და ვერც გაჰყვებოდა. სუსტი პარტიები ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

***– თუმცა ამომრჩევლის 88% არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, რაც, ალბათ, დამაიმედებელია.***

– რა თქმა უნდა! ეს თავისთავად მნიშვნელოვანია. ამომრჩეველი აქტიური რომ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ. ასევე, ეს არჩევნები არაპროგნოზირებადი რომ იქნება, ესეც ცხადზე ცხადია.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას ჰყავთ თავიანთი მყარი, ე.წ. კრისტალიზებული ამომრჩეველი, ეს არჩევნები მაინც რჩება შედეგების თვალსაზრისით ერთ-ერთ გამოუცნობ, არაპროგნოზირებად არჩევნებად.

ალბათ, გადამწყვეტი იქნება არჩევნების წინა რამდენიმე დღე, რადგან მცირე ნაპერწკალმაც კი შეიძლება, რადიკალურად შეცვალოს არა მხოლოდ კონკრეტული პარტიის, არამედ ქვეყნის განვითარების ბედიც კი.

***– კორონავირუსს შეუძლია პროცესებში კორექტივების შეტანა? ამას გულისხმობთ?***

– თანმდევ პროცესებს. მშიერ, სოციალურ ბუნტს, რომელიც ყველაზე დაუნდობელია. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სწორედ ამ დროს არის ჩვენი საზოგადოება ყველაზე არაპროგნოზირებადი. ამ დროს ყველაზე კარგად სარგებლობს არა რომელიმე ოპოზიციური პარტია, არამედ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი.

***– უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– მოქალაქეებს, ელემენტარულად, ეშინებათ და ამას ძალიან კარგად გამოიყენებენ თუნდაც ის ძალები, ის სატელიტები, რომლებიც აქ რუსეთის დასაყრდენი შეიძლება იყვნენ. ეს მოცემულობა თუ შეიქმნება, რა თქმა უნდა, რუსეთი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და ამის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას ეცდება. სწორედ ამას ვგულისხმობ და ეს, შეიძლება, პოსტსაარჩევნო პერიოდს დაემთხვეს.

***– შეიძლება, არჩევნები გადაიდოს?***

– არჩევნებზე საბოლოოდ უარს ვერავინ იტყვის. გადავადებული პრობლემა სიკვდილის ტოლფასია. ეს მოვლენების განვითარების ძალიან მძიმე სცენარი იქნებოდა. იმედი მაქვს, არჩევნების გადადება არ დაგვჭირდება, მით უფრო, მმართველ პოლიტიკურ ძალას დაბალი ელექტორალური აქტივობა ხელს აძლევს. ამდენად, არა მგონია, ხელისუფლება ამაზე წავიდეს და არჩევნები გადადოს.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

# „ახალი სახეების შემოყვანით საბჭოური პრაქტიკა მეორდება“

## მამუკა გიორგაძე: „ორი-სამი ჯანსაღი, დამოუკიდებელი და გამოცდილი პოლიტიკოსი ქართულ პოლიტიკურ თეატრს დაასრულებდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნო სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „სახალხო პარტიის“ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ მამუკა გიორგაძეს.**



***– როგორ აფასებთ ვითარებას ქვეყანაში არჩევნებამდე თვე-ნახევრით ადრე? არის რაიმე სიახლე?***

– ხდება ის, რაც ჩვეული და ტრადიციულია საქართველოს პრაქტიკაში. ისევ არ არის ნამდვილი პოლიტიკური ჭიდილი, პროგრამების, იდეების წარმოჩენა და პოლიტიკური დისკუსიები. კამათი ბევრია, თუმცა ესაა კლანების შეჯახება. ჩვენთან პარტიების ნაცვლად უმთავრესად არიან კლანები. მათი ნაწილი გარედან იმართება, ნაწილი შიდა კლანებია. კვლავინდებურად უვარგისი საარჩევნო გარემოა. ამომრჩეველთა სიები, რბილად რომ ვთქვათ, არ არის დაზუსტებული. კლანები იყოფენ მილიონებს.

***– რას გულისხმობთ?***

– მილიონ-მილიონი ბიუჯეტიდან ჩაერიცხათ პრივილეგირებულ პარტიებს. ზოგიერთმა მიიღო 600.000 წინასაარჩევნო რეკლამისათვის. ბარემ ადგნენ და გამოგვიცხადონ, რომ მანდატები გაყოფილია. ამაში მთავარი მოთამაშეები არიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. მდგომარეობა ასეთია, მაგრამ საშველი არსებობს. ნებსით თუ უნებლიეთ, მოგვეცა საშუალება, დავასრულოთ არსებული მონოპოლია.

***– 1%-იანი ბარიერი და მეტი პროპორციულობა იძლევა ამის საშუალებას?***

– რასაკვირველია. დიდი მნიშვნელობა ექნება რამდენიმე ისეთი ქმედითი დეპუტატის გაყვანას, რომლებიც ამ პარტიებზე დამოკიდებული არ არიან და აქვთ საკმარისი გამოცდილება. ორი-სამი ჯანსაღი, დამოუკიდებელი და ჯანსაღი პოლიტიკოსი დაასრულებდა ქართულ პოლიტიკურ თეატრსა და ქვეყნის ნგრევას.

***– რას გააკეთებდნენ ეს დეპუტატები?***

– დასვამდნენ საჭირბოროტო პრობლემებს, თუნდაც ლუსტრაციის კანონის მიღების, ტერიტორიული მთლიანობის, თვითმმართველობის, ეკლესიასთან დამოკიდებულების, სამართლიანი სასამართლოს, განათლების საკითხებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის თემას. ამაზე ყველა ჩამოაყალიბებდა თავის პოზიციას და ყველა გაიშიფრებოდა. გამოიკვეთებოდა ნათელი და ბნელი. თვითმმართველობაზე წინა წლებში ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ ვერ ველირსეთ. არადა, ცივილიზებული სამყარო შეიქმნა თვითმმართველობის საფუძველზე. ამაზე დიდ აქცენტს აკეთებდა ჯორჯ ვაშინგტონი. ჯანსაღი დეპუტატების ინიციატივით გამოცხადდებოდა, რა უნდა საქართველოს, რა მოთხოვნები აქვს რუსეთს, რას გვირჩევს დასავლეთი, რას ითხოვს ჩვენგან უფალი. ბოლოს და ბოლოს, უნდა განვსაზღვროთ, მათხოვარ ქვეყნად გვინდა დარჩენა თუ დროა, ჩვენი წვლილი შევიტანოთ დემოკრატიულ სამყაროსთან ურთიერთობისას! დაზუსტდებოდა ღირებულებათა სისტემა.

### „სააკაშვილიზმი უნდა დამთავრდეს!“

***– ამის დეკლარაციას ისედაც ახდენენ.***

– საქმეც ესაა, რომ სიტყვით შემოიფარგლებიან. ჩინოსნებს კაბინეტებში ილია ჭავჭავაძის, იმავე წმინდა ილია მართლის გამოსახულებები აქვთ. საქმით არავინ მისდევს ილიას იდეებს. ილია ბანკირიც იყო, მწერალიც, დიდი განმანათლებელიცა და პოლიტიკოსიც. მას სურდა პარტია, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, იგი ისწრაფვოდა ავტოკეფალიის აღდგენისა და ავტონომიისკენ. ამ ბრძოლას შეეწირა. ჩვენ, ვინც მის იდეებს არ ვასრულებთ, ილიას მკვლელები ვართ. კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ამის დაფინანსება მას შემდეგ ჩაკვდა.

***– კულტურული საქმიანობის სპონსორის თემა ამ დღეებშიც აქტუალურია – ცნობილი მსახიობები საყვედურობენ ბიძინა ივანიშვილისა და მისი მომხრე თეატრალების გამკრიტიკებლებს. ისინი ამბობენ, რომ ივანიშვილმა თეატრი გააცოცხლა.***

– აქაც ვერ გამოვსულვართ საბჭოთა აზროვნებიდან. მეცენატობა განვითარებულია დასავლეთში. იქ მეცენატი აფინანსებს სპექტაკლს და არა მსახიობს. მსახიობი და რეჟისორი არ ხდება მასზე მიბმული. ჩვენთანაც შეუწყონ ხელი სპექტაკლებს, ასევე მეცნიერებას, მეცნიერთა კვლევებს! ჩვენ შესანიშნავი მეცნიერები გვყავს.

***– „ქართული ოცნების“ მიერ პრეზენტირებული სიის ოცეულზე რას იტყვით?***

– აქაც გამოჩნდა, რომ საქართველოში აღრეულია პოლიტიკური დეფინიციები. პიროვნულად არავის ვერჩი, მაგრამ პარლამენტში უნდა იყვნენ პოლიტიკოსები. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები და იტვირთონ პასუხისმგებლობა. „ოცნებაში“ ისედაც არ იყვნენ პოლიტიკოსები. ახლა მოჰყავთ ახალი სახეები. რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი სახეები გახდა თვითმიზანი. ზოგჯერ ახალი სახე ხდება პირი, რომელსაც რიგიანად საკუთარ სფეროშიც არ იცნობენ. ფეხბურთელი მესი 11 წლის ასაკში უკვე ცნობილი იყო.

***– მას თავის სამშობლოში დეპუტატობაზე არა აქვს პრეტენზია.***

– დიახ, არა აქვს. სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევა პარლამენტში საბჭოური პრაქტიკაა. საბჭოთა კავშირში უმაღლეს საბჭოში არსებობდა კვოტები სპორტსმენების, მუშების, მწველავების, ტრაქტორისტების, ასევე, ინტელიგენციისა და პარტიული მუშაკებისათვის. ეს ხალხი იღებდა მანდატებს და სარგებლობდა პრივილეგიებით, გადაწყვეტილებებს კი არ იღებდა. თავი მოგვაბეზრეს განათლების თემით.

***– უცნობი კანდიდატების უცხოეთში მიღებულ განათლებაზე საუბრობთ?***

– ცხადია. სააკაშვილის დროს იყო ასე და ეს გრძელდება. სააკაშვილიზმი უნდა დამთავრდეს! არ მესმის, რატომ ეპყრობიან ასე ცუდად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს! ტექნიკურმა უნივერსიტეტმა ბოლო წლებში დიდ წარმატებას მიაღწია. ჩვენი სტუდენტებიც ქებას იმსახურებენ. ესენი კი ჩვენს სტუდენტებს სტიმულს უკარგავენ.

***– არსებობს მოსაზრება, რომ მზადდება „ვარდების რევოლუცია 2“. თქვენ ხედავთ ამის ნიშნებს?***

– არა. რევოლუციის ნიშნებს ვერ ვხედავ. გრძელდება დაძაბულობა და ქაოსი, რომელიც აწყობს „ქართულ ოცნებას“, ასევე – ნაციონალურ მოძრაობას. ამის მიზანია ტყუილი საფრთხეების წარმოჩენა, ხალხის დაშინება და პოლიტიკურ ველზე მსხვილი მოთამაშეების დატოვება. 8 წელია, ამას ვუყურებთ, თუმცა უკვე უჭირთ.

***– რა უჭირთ?***

– ხალხის მოტყუება. „მგელი მოდის!“ აღარ ჭრის. „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ამას ხვდებიან და თამაშში წვრილ-წვრილი პარტიები შემოჰყავთ. ისინი ყველანი „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის ნატეხები არიან. იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. ექსპერტებზე. ტელევიზიებში სულ ეს ხალხია. საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა გადაცემებში მოსაწვევ პირთა სია. თანამედროვე დამოუკიდებელ საქართველოში ზუსტად იგივე ხდება. აბა, რანაირად შეიძლება, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ტელევიზიებში ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ? მუდმივად ეკრანებზე ჩანან ისეთი პარტიების ლიდერები, რომელთა რეიტინგი სახალხო პარტიაზე ნაკლებია. ისინი მგზნებარედ ლაპარაკობენ, თუმცა არაფრით გამოირჩევიან. უბრალოდ, დაშვებული არიან „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის მიერ. იგივე მიდგომაა ე.წ. ექსპერტების მიმართაც. ამიტომ ვამბობ, რომ ეს პოლიტიკური თეატრი დასაშლელია.

# „ქართული ოცნების“ მესამედ მოსვლა გამორიცხულია“

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „31 ოქტომბრის არჩევნები ყველა აქამდე ჩატარებული არჩევნებისაგან აბსოლუტურად განსხვავდება ტექნიკური რეგლამენტით, შინაარსით. უპრეცედენტო რაოდენობის პარტია მონაწილეობს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** პასუხობს.

***– ბატონო დიმიტრი, წინასაარჩევნო პერიოდია და სააგიტაციო პროცესებში ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ჩაერთო, რომელიც თავის პარტიასთან, ნაცმოძრაობასთან ერთად ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადება. მეტიც, მიხეილ სააკაშვილი პრემიერად დასახელდა. თქვენ პარლამენტში სააკაშვილის რეჟიმს მწვავედ აკრიტიკებდით. სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნებაზე რას ფიქრობთ?***

– 31 ოქტომბრის არჩევნები ყველა აქამდე ჩატარებული არჩევნებისაგან აბსოლუტურად განსხვავდება ტექნიკური რეგლამენტით, შინაარსით. უპრეცედენტო რაოდენობის პარტია მონაწილეობს. არჩევნებზე წარმოდგენილია 66 პარტია, რაც მსოფლიოს მასშტაბით უნიკალურ ქვეყნად წარმოგვაჩენს, ვინაიდან საქართველოს იურიდიულ სივრცეში რეგისტრირებულია 225 პოლიტიკური პარტია.

პირველი, რაც უნდა გაკეთდეს პარლამენტში, „პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ კანონის“ რეფორმირება უნდა განხორციელდეს, რათა პოლიტიკური პარტიის ფორმირება მარტივი აღარ იყოს. პარტიას 300 ადამიანი აფუძნებს. შემდეგ, რეალურად, ერთი ადამიანიც აღარ არის, რომელიც საწევროს გადაიხდის.

შესაბამისად, ასეთი პარტია ერთი ადამიანის თეატრია, ერთი კაცის პერფორმანსია და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ხალხის სეგმენტალური წრეების ინტერესებს. ამიტომ ეს მომენტი მათ ძირითადი მოთამაშეების სატელიტებად აქცევს. წარმოიდგინეთ, ვეშაპი და მასთან მოფარფატე პატარა ლიფსიტები, რომლებიც ამ ვეშაპს მუდმივად დაჰყვებიან.

***– ვეშაპი არის ნაცმოძრაობაც?***

– პოლიტიკური ლანდშაფტი დღეს ნამდვილად არ არის მარტივი. ამ ლანდშაფტში იკვეთება ორი ძირითადი მოთამაშე – დინოზავრი და ტირანოზავრი, იურული პერიოდის ცხოველი, რომლის ძალის, ფინანსური და მატერიალური რესურსის მატარებელი არც ერთი ლომი და მგელი არ არსებობს. მათ გააჩნიათ უზარმაზარი მატერიალური რესურსი (მილიონებზეა საუბარი), ლობისტი ორგანიზაციების მხარდაჭერა, სხვადასხვა ქვეყნის სენატებიდან და კონგრესებიდან. ბუნებრივია, ისინი ქმნიან ერთ პოლიტიკურ სისტემას ერთი პოლიტიკური დღის წესრიგით, რომელიც არჩევანი-არადანის პრინციპით ხელისუფლებას იყოფს. ხან – ერთია, ხან – მეორე.

***– ამბობთ, „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ხელისუფლებას იყოფენ და ხან ერთია, ხან – მეორეო, ანუ ახლა ნაცმოძრაობის რიგია?***

– არა, ამ შემთხვევაში ამას არ ვგულისხმობ.

***– ანუ ნაცმოძრაობის დრო არ დამდგარა?***

– არა, ნაცმოძრაობის დრო არ დამდგარა. ამ საკითხს თუ ვინმე აყენებს, ესენი, პირველ რიგში, ის ლობისტი ორგანიზაციები არიან, რომლებიც თვლიან, რომ ქვეყანაში რეჟიმის ცვლილება უნდა განხორციელდეს, არც ერთი პოლიტიკური ძალა ორ მოწვევაზე მეტ ხანს ხელისუფლებაში არ უნდა იყოს და „ქართული ოცნებისთვის“ მესამე შესაძლებლობა გამორიცხულია.

***– თუ მათ ხალხი ხმას მისცემს?***

– ასე თვლის დასავლეთი, მაგრამ ხალხს მიაჩნია, რომ ნაციონალს, ქოციონალსა და პორტირებულ ნაცს (იმედია, მომავალში პორტირებული ქოცების ახალი კლასტერი არ წარმოიშობა) შორის განსხვავება არ არსებობს. ისინი ყველანი ერთიანად ერთ ლიბერალურ სისტემას ემსახურებიან.

აქედან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რომელიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ არაერთგზის დანაშაულის ჩამდენი პირია, აქამდეც უნდა დამდგარიყო უმძიმესი დანაშაულებისთვის სასჯელები.



***– სააკაშვილი დღეს თავს პრემიერობის კანდიდატად რომ გვთავაზობს?***

– დღეს სააკაშვილი ადეიშვილებთან, უგულავებთან და სხვებთან ერთად იმას რომ ბედავს, თავისი კანდიდატურა პრემიერად წარმოგვიდგინოს (თავისი მხარდამჭერები ჰყავს), ეს სწორედ იმ ლიბერალური სისტემის მსახური „ქართული ოცნების“ „დამსახურებაა“, რომელმაც დასავლეთის აღნიშნული დაკვეთა შეასრულა.

ამიტომ დღეს უკვე დგება საკითხი, „ოცნება“ ნაცმოძრაობას ხელისუფლებას გადააბარებს თუ არა? რა თქმა უნდა, „ოცნება“ ნაცმოძრაობას ხელისუფლებას არ გადააბარებს. „ოცნება“ ყველანაირად ეცდება, მესამე ვადით მოვიდეს, თუმცა გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ნაცმოძრაობის უკან გარკვეულ ლობისტურ ორგანიზაციათა ძლიერი ჯგუფები (აშშ-ის სენატი, კონგრესი, ბრიტანეთის პარლამენტი თუ ევროკავშირი) დგანან და მაქსიმალურად შეეცდება, დათმოს იმდენი ადგილი, რამდენიც კოალიციური მთავრობის შექმნის ვალდებულებას არ გამოიწვევს.

***– ანუ ნაცმოძრაობას პარლამენტში დიდი ჯგუფი ეყოლება?***

– დიახ, ნაცმოძრაობას შესაძლებლობას მისცემს, პარლამენტში დიდი ჯგუფით შემოვიდეს. აქ კითხვა ისმის, სად არის მესამე პოლიტიკური ძალა, სად არის ხალხის ნება.

***– მესამე ძალა რომ ვერ იქმნება?***

– მესამე ძალა უპარტიო ხალხია, ხალხთა ერთობა 60-63%-ის ოდენობით, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე მუდმივად უარს აცხადებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მის მონაწილეობას აზრი არ აქვს, გული აქვს გატეხილი და არც ერთი პოლიტიკური პარტიის მიმართ სიმპათიას არ გამოხატავს.

***– თქვენ რომელ პარტიას მიეკუთვნებით?***

– მე გადავწყვიტე, არჩევნებში პარტიის გარეშე მივიღო მონაწილეობა. მოვუწოდებ ყველა იმ პირს, რომლებსაც თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური კაპიტალი გააჩნიათ და საზოგადოების ნდობის მანდატი აქვთ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ სწორედ იმ მეთოდითა და ფორმით, რა ფორმითაც მე ამას ვაპირებ.

***– კერძოდ?***

– ეს არის ინდივიდუალური ფორმა, უპარტიო ფორმა, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფით წარდგენის შესაძლებლობა, რომელსაც ითვალისწინებს ჩვენი საარჩევნო კოდექსი, რაც პირდაპირ ქმნის შესაძლებლობას, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არჩევნებში საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერილი ადამიანები შემოვიდნენ.

***– თქვენ რის იმედი გაქვთ იმ პირობებში, როდესაც არჩევნებში მონაწილეობენ, როგორც თქვენ თქვით, „დინოზავრი და ტირანოზავრი“ და კიდევ პატარ-პატარა პარტიები, რომლებსაც 1%-იანი ბარიერის პირობებში გარკვეული შანსი ეძლევათ, პარლამენტში შეაბიჯონ?***

– მე ვმონაწილეობ დიდუბე-ჩუღურეთის სამაჟორიტარო საარჩევნო ოლქში. წარდგენილი ვარ საინიციატივო ჯგუფის მიერ. პრონტოზავრებთან და ტირანოზავრებთან ჭიდილში პატარა ლიფსიტა პარტიებისთვის, რომლებიც ლომობენ და ვეფხვობენ, ადგილი ძალიან ცოტაა.

***– რატომ, 1%-ს ხომ მაინც აიღებენ?***

– კი, ესეც საქმეა, მაგრამ მე გაცილებით მეტი შანსი მაქვს, რომ მაჟორიტარულ ოლქში მონაწილეობის შედეგად მხარდაჭერილი ვიყო არა მხოლოდ ერთი კონკრეტული, ჩემი მხარდამჭერი ჯგუფისაგან, რომელიც ყოველთვის მხარს მიჭერდა, არამედ იმ პარტიებისა და ჯგუფებისაგანაც, რომლებიც პროპორციულ სიაში, მათ შორის, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველია. მისცემს რა „ოცნებას“ ხმას, დიდი ალბათობით, მაჟორიტარულ ოლქში, მისი წარმომადგენლისაგან განსხვავებით, ალტერნატიულ არჩევანს გააკეთებს, ანუ ეს არ იქნება „ოცნების“ კანდიდატის მხარდამჭერი დამოკიდებულება.

***– თქვენს ოპონენტებზე რას იტყვით? კონკრეტულად, დიდუბე-ჩუღურეთში „ოცნებიდან“ არის ვოლსკი და, თუ არ ვცდები, ნაცებიდან ჯაფარიძე „გირჩი“, რომელსაც უამრავი ახალგაზრდა მხარდამჭერი ჰყავს თავისი ლიბერალური განწყობების გამო, იმავე, ვთქვათ, ნარკოპოლიტიკის თაობაზე. ამ ოლქში კიდევ ბევრი კანდიდატია.***

– ეს არჩევნები აქამდე არსებულისაგან იმითაც არის გამორჩეული, რომ მაჟორიტარულ ოლქებში ძალიან ბევრი საჯარო პირი იყრის კენჭს, განსაკუთრებით, თბილისში. მათ შორისაა დიდუბე-ჩუღურეთის ოლქი. აქ არიან როგორც ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები. მათ შორის არიან ულტრალიბერალური და ნეოლიბერალური მიმართულების წარმომადგენლები, რომლებისთვისაც მამათმავლობა, ლესბოსელობა, ნარკომანია ნორმალური, ადამიანის უფლებებთან შეთავსებული, აღიარებული უფლებებია. ისინი აპირებენ ამის კულტივირებას. ახალგაზრდობაში ისინი სარგებლობენ გარკვეული სიმპათიით.

***– დიდუბე-ჩუღურეთში მეორე ტური იქნება?***

– მეორე ტური გარდაუვლად იქნება. პირველ ტურში 50%-ზე მეტი ხმის მოპოვებას, ალბათ, ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს. საარჩევნო სისტემა ხელისუფლების მხრიდან მთლიანად კონტროლირებადია, თუმცა, კანდიდატთა რაოდენობიდან და საჯაროობიდან გამომდინარე, ამომრჩეველთა რიცხვი ძალიან დიდი იქნება და ვერავინ შეძლებს დიდი ანგარიშით გამარჯვებას. მთელი ბრძოლის მარილი საარჩევნო პროცესში მეორე ტურში იქნება მოყრილი, სადაც, იმედი მაქვს, სახალხო მხარდაჭერის შედეგად ბრძოლა მომიწევს.

# „თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა ვილა „ალგეთიდან“ არის მიყვანილი იქ, სადაც იპოვეს“

## რა უთხრეს ელისო კილაძეს აშშ-დან




13 სექტემბერს ჟურნალისტმა ელისო კილაძემ „მთავარი არხის“ ეთერში, გადაცემა „მთავარ აქცენტებში“ ბაჩალიაშვილის საქმესთან დაკავშირებით ისაუბრა.

მისი თქმით, მას ამერიკიდან დაუკავშირდა წყარო და უთხრა, რომ ადგილი, სადაც ბაჩალიაშვილის მანქანა იპოვეს, ტრაგედიის ბოლო ადგილია, მანამდე კი 23 წლის პროგრამისტი, სავარაუდოდ, სხვა ადგილას იმყოფებოდა.

ელისო კილაძეს წყარომ სამი გვარიც დაუსახელა – გიორგი ღარიბაშვილი, გურამ მაჭარაშვილი და თეიმურაზ ჯავახიშვილი.

– დამისვა მე კითხვა – აგრძელებთ თუ არა ბაჩალიაშვილის საქმეზე მუშაობას? ჩემი დადებითი პასუხის შემდეგ მითხრა, რომ მან გადაწყვიტა, მომაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად დაიწყო ბაჩალიაშვილის ტრაგედია, რომ ის ადგილი, სადაც მანქანა იპოვეს, არის ბოლო ადგილი რეალურად და დასაწყისი არის სხვაგან და ამის შემდეგ მე ის მიგდებს ლოკაციას....

ამ საკადასტრო კოორდინატებით იძებნება ვილა „ალგეთი“ და დამისახელა სამი გვარი. გიორგი ღარიბაშვილი, რომელიც ვილა „ალგეთის“ მეპატრონეა, ქონებასთან დაინტერესებული პირი არის პარლამენტის წევრი და „ქართუ ბანკის“ იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსი გურამ მაჭარაშვილი. სწორედ აღნიშნული ვილა არის იპოთეკით დატვირთული „ქართუ ბანკში“. მესამე პიროვნება არის თეიმურაზ ჯავახიშვილი, რომელიც დაკავშირებულია შავ სამყაროსთან, – განაცხადა ელისო კილაძემ.

„ქრონიკა +“-ის რედაქტორის თქმით, ვილა „ალგეთი“ თამარ ბაჩალიაშვილის მანქანის პოვნის ადგილიდან 100-150 მეტრში მდებარეობს.

***

გუშინ, 14 სექტემბერს, თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახმა ვილა „ალგეთის“ ტერიტორიაზე საგამოძიებო ექსპერიმენტი დაიწყო.

საკალმახესთან რაიმე სახის კავშირსა და ინტერესებს უარყოფს უმრავლესობის დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი.

– არ მსმენია, მის მფლობელებს არ ვიცნობ, ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

საკალმახე ალგეთის ტერიტორიაზე ბაჩალიაშვილის ოჯახის წევრები 11 სექტემბერს იმყოფებოდნენ. მათი ინფორმაციით, ადგილზე ბევრი საეჭვო დეტალია. ბაჩალიაშვილის დედა ამბობს, რომ ეს არის ტერიტორია შავბნელი საქმეებისთვის.

– საეჭვო დეტალი ისაა, რომ საერთოდ ვერ იფიქრებ, რომ იქ შეიძლება ვილა იდგეს, ისეთი მიყრუებული ადგილია და იდეალურია შავბნელი საქმეების შესასრულებლად. მე არაფერს არ ვამტკიცებ, რომ იქ მოხდა ჩემი შვილის მკვლელობა, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ კავშირში იყოს, – განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

თამარის მამა ჯუმბერ ბაჩალიაშვილი ითხოვს, რომ თამარის მეგობარი დეა კაპანაძე გამოძიებამ სასწრაფოდ დაკითხოს და მას ქვეყნის დატოვების საშუალება არ მისცეს.

– კაპანაძემ იცის ყველაფერი, დეამ იცის ყველაფერი. აქამდე სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ ციხე შიგნიდან ტყდება. დაკითხეთ დეა, მე ერთი რამე მაინტერესებს, გამოდის, ტყუილებს ლაპარაკობს, ათასჯერ დავიბარე, არ მოვიდა, – აღნიშნა ჯუმბერ ბაჩალიაშვილმა.

ალგეთის ტერიტორიაზე ამოჩენილი პრეპარატის ანოტაცია მიხეილ რამიშვილმა თბილისში ჩამოიტანა. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ საქმის პროკურორმა აღნიშნა, რომ ეს ანოტაცია საქმეში ნივთმტკიცებად ჩაიდო და, იმის მიუხედავად, რომ არც ერთი მოწმე არ ადასტურებს ბაჩალიაშვილის ალგეთში ყოფნას, ადვოკატები ამბობენ, რომ გამოძიებამ ყველა ვერსიაზე უნდა იმუშაოს.

***

– საქმეში არსებული მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ თამარ ბაჩალიაშვილი ამ კონკრეტულ ადგილზე იმყოფებოდა, მიუხედავად ამისა, ობიექტური გამოძიების ფარგლებში შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება დაიგეგმა.

ამის შესახებ პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ადვოკატ მიხეილ რამიშვილს შესთავაზეს, რომ აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა მიიღოს.

– როგორც ცნობილია, მიხეილ რამიშვილი იმყოფებოდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში კონკრეტულ ლოკაციაზე, საიდანაც წარმოადგინა, მისი აზრით, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე წამლების ანოტაცია, რაც, ბუნებრივია, ამოღებულ იქნა გამოძიების მიერ და დაერთო სისხლის სამართლის საქმეს ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ ლოკაციას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ლოკაციას არანაირი შემხებლობა არ აქვს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და საქმეში არსებული მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ თამარ ბაჩალიაშვილი იმყოფებოდა ამ კონკრეტულ ადგილზე, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ფარგლებში დაიგეგმა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება და მიხეილ რამიშვილს შეეთავაზა, მონაწილეობა მიიღოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში. დანარჩენს გვიჩვენებს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები და ამ დოკუმენტზე დანიშნული ექსპერტიზები, – აღნიშნა პროკურორმა კოტრიკაძემ.

***

შეგახსენებთ, 8 სექტემბერს ბაჩალიაშვილის ადვოკატმა თქვა, რომ სატელიტის კადრებში 19 ივლისს თამარ ბაჩალიაშვილის მანქანა არ დგას იქ, სადაც ის რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ აღმოაჩინეს.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა, 22 ივლისს კი ის საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი ნახეს.

# თამთა ჯანჯღავა სტამბოლში ქმარმა მოკლა და გაიქცა

## პოლიცია ირაკლი შურღაიას ეძებს



32 წლის თამთა ჯანჯღავას ცხედარი თურქეთის ქალაქ სტამბოლში ჩაკეტილ სახლში იპოვეს.

როგორც „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილის ახლობლები უყვებიან, ახალგაზრდა ქალი ქმარმა, ირაკლი შურღაიამ, დანით დაჩეხა და სახლიდან გაიქცა. გარდაცვლილს სენაკში ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

ახლობლების გადმოცემით, ქმარი ცოლზე სისტემატურად ძალადობდა და მკვლელობის მცდელობას წარსულშიც ჰქონდა ადგილი.

32 წლის თამთა ჯანჯღავას ცხედარს ცემის კვალი აღენიშნება, სასიკვდილო ჭრილობები კი მას, სავარაუდოდ, დანით აქვს მიყენებული.

თამთა ჯანჯღავას ახლობელი სალომე კურდღელია სოციალურ ქსელში წერს:

„ეს ულამაზესი გოგო თამთაა! (მიჭირს წარსულში მასზე საუბარი). ვინც მას არ იცნობდით, გეტყვით, რომ თამთა ჯერ კიდევ საოცარი შვილი იყო, სანამ საოცარი დედიკო გახდებოდა თავისი შვილებისთვის! დიახ, თამთა იყო ის შვილი, საკუთარ და-ძმაზე ჯერ კიდევ პატარა, დიდი გოგოსავით რომ ზრუნავდა! მერე?! მერე დედა გახდა და მისი ყველა ფბ პოსტიდან მიხვდებით, რა მაგარი დედა იყო მისი შვილებისთვის!

დიახ, ადამიანებო, ეს ის თამთაა, მისმა არაადამიანმა ქმარმა თურმე 2 დღის წინ სიცოცხლეს ულმობლად რომ გამოასალმა და ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ისე რომ გაიხურა კარი და წავიდა (იმედია, მოუსავლეთში)!!!

მძულს ამისთანა სამყარო მე! დიახ, მძულს! უფლის ნაბოძებ სიცოცხლეს რომ არაკაცები გართმევენ, იმიტომ! სუსტის დაჩაგვრა რომ ვითომ „ძლიერს“ შეუძლია, იმიტომ! არადა, „ძლიერი“ კი არა და ლაჩარი ხარ, ლაჩარი ხარ იმიტომ, რომ ამ სისაძაგლის ჩადენის მერე თვითმკვლელობაც ვერ შეძელი. იქნებ ამით მაინც გეშველა საკუთარი ბინძური სულისთვის! იქნებ ამით მაინც შეგემსუბუქებინა შენი შვილების წინაშე ეს უმძიმესი დანაშაული! მეზიზღება დედაშენისნაირი ქალები, შენნაირ არაადამიან, მკვლელ შვილებს რომ ზრდიან და თავი საუკეთესო დედებად მოაქვთ! თუმცა დედობაც ზოგისთვის პატივია, ზოგისთვის – სასჯელი!

მაპატიე, თამთა, მეც და ყველას, ვისაც შეგვეძლო და არ დაგიცავით! ვინც იცოდა და ხმა არ აიმაღლა! გვიანია, მაგრამ მე მაინც გთხოვ ჩემს წილ პატიებას! ყველა პოტენციური მკვლელია, ვინც 0,1%-ით მაინც ეცდება იმ არაკაცის გამართლებას ნებისმიერი ფორმით! აწი გინდა ფემინისტობა დამაბრალეთ და გინდა ქალთა უფლებადამცველობა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და ძალიან ტრაგიკული! თამთა აღარ ჰყავს მის შვილებს, მის დედმამიშვილებს და მის ახლობლებს! ჩემო ანგელოზად გაფრენილო თამთუ! იქით იმიერში ანათე და ასხივე აწი“.

თამთა ჯანჯღავას ახლობლებმა „ამბებს“ უთხრეს, რომ ახალგაზრდა ქალს ქმარმა დანით 17 ჭრილობა მიაყენა და მიიმალა.

– ორი წელია, სტამბოლში მეზობლად ვცხოვრობდით და ვმუშაობდით ერთ ფაბრიკაში. დაც იყო ჩემთვის და ყველაფერი. მეუღლეს არ იყო გაშორებული, აქ ერთად ცხოვრობდნენ. როგორც თამთა მიყვებოდა, მეუღლე მასზე ძალადობდა სისტემატურად. ერთი კვირის წინ ვერ დავუკავშირდი, მივატოვე სამუშაო და სახლში მივაკითხე. ყელი სულ დალურჯებული ჰქონდა, სახეც. მაგრად მცემა ქმარმა და, როგორ გადავრჩი, მიკვირსო, მითხრა. ეჭვიანი ადამიანი იყო, უთვალთვალებდა მუდმივად ცოლს. ნარკოტიკებსაც მოიხმარდა. თამთა მიყვებოდა, არაფერს ვეუბნები და უმიზეზოდ იწყებს ჩხუბს და მცემსო. არადა, საეჭვიანოს არაფერს აკეთებდა.

საოცარი ადამიანი იყო. დანით მოუკლავს და 17 ჭრილობა აქვს მიყენებული. ფეხზე დგას აქაური პოლიცია. ძალას არ იშურებენ, რომ იპოვონ დამნაშავე. მთელი ღამე დაკითხვაზე ვიყავი და მჯერა, რომ მალე დაიჭერენ. არ მოვისვენებთ, ვიდრე არ ვიპოვითო, პოლიცია ამბობს. ყველა ქართველის ოჯახში შედიან და ეძებენ, – უთხრა „ამბებს“ მოკლული ქალის მეგობარმა ინგა ბულიამ.

„პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი გახდა მიმოწერა და ფოტოები, რომლებიც ადასტურებს, რომ სტამბოლში მოკლული 32 წლის ქართველი ქალი მეუღლის მხრიდან სისტემატური ძალადობის მსხვერპლი იყო.

ფოტოებითა და მეგობრების საერთო ჩატში მიმოწერით ირკვევა, რომ მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე თამთა ჯანჯღავა ქმარმა სასტიკად ცემა და ახრჩობდა.

ქალი მეგობრებს სწერს, რომ გაქცევა უნდა, თუმცა არ იცის, სად გაიქცეს.

ამ მიმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ თამთა ჯანჯღავას ცხედარი სტამბოლში იპოვეს. მას სხეულზე დანით არაერთი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

მის ქმარზე, ირაკლი შურღაიაზე, ძებნა გამოცხადდა.

# არჩილ გაგნიძე, ვასილ მახარაძე, გიგა ტატიაშვილი და 8 პირი პატიმრობაში დატოვეს



ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული ძიუდოისტის გიგა ტატიაშვილის ადვოკატმა გიორგი ყიფშიძემ თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა.

როგორც მცხეთის რაიონულ სასამართლოში პროცესის დაწყებამდე ჟურნალისტებს ყიფშიძემ განუცხადა, ის ტატიაშვილის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას არ მოითხოვს. ის მისი დაცვის ქვეშ მყოფის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას მოითხოვს.

– ჩვენი ძირითადი შუამდგომლობა იქნება, რომ გიგა ტატიაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი საქმე შეწყდეს და დაუყოვნებლივ იქნეს ის სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლებული, რადგან არ არსებობს წინადადება, სიტყვა, რომელიც დაადასტურებს კი არა, ეჭვს გააჩენს, რომ გიგა ტატიაშვილს რამე ტიპის დანაშაული აქვს ჩადენილი. ზოგადად, იმედი მაქვს, რომ სადღაც, რომელიღაც მოსამართლეს მინიმუმ სინდისი გაეღვიძება, – განაცხადა ყიფშიძემ.

საბოლოოდ, გუშინ, 14 სექტემბერს, სასამართლომ შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული 11 პირი კვლავ პატიმრობაში დატოვა.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დაკავებულების პატიმრობაში დატოვებას ითხოვდა, ვინაიდან სახელმწიფო ბრალდება მიიჩნევს, რომ დაკავებულების მხრიდან მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე კვლავ არსებობს.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარე არ დაეთანხმა. მათი ნაწილი – ბრალდებულების გირაოს სანაცვლოდ, ნაწილი კი მათი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ასევე მტკიცებულებების დასაშვებობაზე იმსჯელეს.

დაკავებული 11 პირი – საბა ჩხარტიშვილი, საბა გოგშელიძე, ირაკლი წაქაძე, არჩილ გაგნიძე, ვასილ მახარაძე, ვახო ჩიქოვანი, ნიკოლოზ რევაზიშვილი, ნიკა ჟვანია, ირაკლი მუმლაძე, თენგიზ ბარბაქაძე და გიგა ტატიაშვილი ბრალს არ აღიარებენ. ისინი დუმილის უფლებას იყენებენ.

დაკავებულებს ძალადობას, ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, მასში მონაწილეობას, სხეულის მსუბუქ დაზიანებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებიან.

# ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ მატანთან, პოლიციის სპეციალური საკონტროლო პუნქტები მოეწყო

საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,COVID-19-ის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა აქტიური მონიტორინგის მიზნით, ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ მატანთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ორგანიზებით პოლიციის სპეციალური ინფრასტრუქტურა მოეწყო და საკონტროლო პუნქტები ამოქმედდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა სოფელ მატანის შესასვლელთან და გასასვლელთან საველე კარვები ააწყვეს.

საკონტროლო პუნქტებზე კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების მონიტორინგი პოლიციამ უწყვეტ რეჟიმში უკვე დაიწყო.

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სოფელ მატანში შემსვლელ და გამომსვლელ ყველა მოქალაქეს ადგილზე უტარდება თერმოსკრინინგი და ტესტირება. პოლიცია პრევენციულ ღონისძიებებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ატარებს.

აღსანიშნავია, რომ სოფელ მატანსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში შესვლა-გამოსვლა არ იზღუდება და არ წესდება სხვა მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები.

სამართალდამცველები ადგილობრივ მოსახლეობას ვირუსის გავრცელების აღმოსაფხვრელად მიმდინარე პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას მთელი ღამის განმავლობაში აწვდიდნენ და საჭიროების შემთხვევაში დახმარებაც აღმოუჩინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად სოფელში ინტენსიურად პატრულირებენ. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

# ბათუმის გეზში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს

„ბათუმის“ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვეთა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს. უწყების ინფორმაციით, „ბათუმის პორტის“ მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის სახელზე გამოგზავნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მისი კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, 110 აბი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი აღმოაჩინეს.



საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

# ნავალნი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნეს



რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ალექსეი ნავალნის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ის ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნეს. ამის შესახებ გერმანული მედია კლინიკა „შარიტეზე“ დაყრდნობით იუწყება, სადაც ალექსეი ნავალნი 22 აგვისტოდან მკურნალობს.

კლინიკის ინფორმაციით, ნავალნი წარმატებით გაითიშა სუნთქვის აპარატიდან და მცირე ხნით საწოლიდან წამოდგომაც შეუძლია.

ცნობისთვის, 7 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ ექიმებმა ნავალნი ხელოვნური კომიდან გამოიყვანეს.

შეგახსენებთ, რომ ალექსეი ნავალნი 20 აგვისტოს ომსკის კლინიკაში მას შემდეგ მოათავსეს, რაც თვითმფრინავში თავი შეუძლოდ იგრძნო, 22 აგვისტოს კი, ახლობლების მოთხოვნით, ბერლინის კლინიკაში გადაიყვანეს. ტრანსპორტირებიდან რამდენიმე დღეში გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ ნავალნი „ნოვიჩოკის“ ტიპის ნერვული აგენტით არის მოწამლული.

ნავალნის „ნოვიჩოკის“ მსგავსი ნერვული აგენტით მოწამვლის ფაქტი საფრანგეთისა და შვედეთის სპეციალურმა ლაბორატორიებმაც დაადასტურეს.

ამის შესახებ გერმანიის მთავრობის პრესსპიკერმა შტეფან ზიბერტმა განაცხადა.

— ჩვენ ვაახლებთ მოწოდებას რუსეთის მიმართ, რომ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთოს. შემდგომ მოქმედებებთან დაკავშირებით ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ახლო კონტაქტში ვიმყოფებით, — განაცხადა ზიბერტმა.

რუსეთი ნავალნის მოწამვლასთან კავშირს უარყოფს.

# ტიხანოვსკაია პუტინს: „ვწუხვარ, რომ დიალოგი უზურპატორთან გადაწყვიტეთ და არა — ბელარუს ხალხთან“






ბელარუსის ოპოზიციის ლიდერმა სვეტლანა ტიხანოვსკაიამ ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოსთან შეხვედრის წინ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მიმართა.

— მინდა, ვლადიმერ პუტინს შევახსენო: რაც არ უნდა მიიღოთ, რაზეც არ უნდა მოილაპარაკოთ სოჭში შეხვედრაზე, ამას კანონიერი ძალა არ ექნება. არალეგიტიმურ ლუკაშენკოსთან ხელმოწერილ ყველა შეთანხმებას ახალი ხელისუფლება გადახედავს, იმიტომ, რომ ბელარუსმა ხალხმა ლუკაშენკოს არჩევნებზე ნდობასა და მხარდაჭერაზე უარი უთხრა. ძალიან ვწუხვარ, რომ დიალოგის გამართვა უზურპატორთან გადაწყვიტეთ და არა ბელარუს ხალხთან, — ნათქვამია განცხადებაში.

# ტრამპი მოსახლეობას ეკონომიკურ აღორძინებას ჰპირდება

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ნევადის შტატში ჩავიდა. წინასაარჩევნო მიტინგზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ კორონავირუსის ეპიდემიის შედეგად აშშ-ში ეკონომიკური პრობლემები წარმოიქმნა და ამის შედეგია უკიდურეს მემარცხენეთა გააქტიურება.

— გპირდებით, რომ უახლოეს ხანებში ეკონომიკური ვითარება გამოსწორდება, — თქვა ტრამპა.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პოლიციისადმი მხარდაჭერა გაძლიერდება, მემარცხენე რადიკალების გააქტიურება კი არ დაიშვება.

— ამას გავაკეთებთ ჩვენ, ანუ რესპუბლიკური პარტია! — ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა ტრამპმა.





# სერბეთმა ჰესბოლა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა

სერბეთმა გადაწყვიტა, პროირანული დაჯგუფება ჰესბოლა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიაროს.

ამის თაობაზე პრეზიდენტმა ვუჩიჩმა განაცხადა.

— სერბეთის ამ გადაწყვეტილებას მივესალმები, — თქვა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.


# კოტე იანტბელიძე: „სწავლის გადადება სწავლის შესაძლებლობის არქონას არ ნიშნავს“



ასე მიაჩნია საბავშვო წიგნების ავტორ კოტე იანტბელიძეს და სახლში დარჩენილ მშობლებსა და მათ შვილებს რამდენიმე სასარგებლო რჩევას სთავაზობს:

— 1. სწავლა უნდა გადადებულიყო, ორი აზრი არაა, რადგან ჯერჯერობით სკოლებში ჩვენ არ გვაქვს ისეთი სასწავლო პროგრამები, რისთვისაც თუნდაც ოდნავ მაინც ღირს ბავშვებისა და მათი ოჯახების რისკის ქვეშ დაყენება.

2. „სწავლის გადადება არ ნიშნავს სწავლის შესაძლებლობის არქონას.

3. როგორ მოვიქცეთ, რომ ჩვენი შვილები გაუნათლებლები არ დარჩნენ სწავლის გადადების გამო, თუ მაინცდამაინც ამის გვეშინია?

ა) განათლება მარტო წიგნის წაკითხვით არ მიიღება. ესაუბრეთ შვილებს მრავალფეროვან თემებზე, რომ მათი ღირებულებებისა და ფასეულობების ფორმირება მოხდეს. მოუყევით საინტერესო(!) ისტორიები თქვენს შეცდომებზე ან წარმატებებზე. მოუსმინეთ მათ რჩევებს, იმიტომ არა, რომ მე ვწერ აქ, მართლა მოუსმინეთ და ნუ გაგიტყდებათ, თუ თქვენზე ჭკვიანი აღმოჩნდება, აღიარეთ. ეს მეგობრობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

ბ) უყურეთ თედ თოლქსის მსგავს სხარტ და საინტერესო სფიჩებს, სამეცნიერო ფილმებს, ძველ ვიდეოებს, ნახეთ საინტერესო ვებგვერდები, ქვიზები, ტელესკოლა, უფასო ტრენინგები და ა.შ.

გ) გააკეთებინეთ პრეზენტაციები იმაზე, რაც უკვე იციან — გამოაცდევინეთ ცოდნის სხვისთვის გადაცემის სიამოვნება და მუღამი. ასე ეზრდებათ მოტივაცია ახალი ცოდნის მიღების.

უბრალოდ, კარგი მსმენელი ნორმალურ მასწავლებელზე მეტს აკეთებს მეთოდოლოგიურად. ნორმალური და კარგი მასწავლებელი ცოტა გვყავს, ამიტომ, დიდი ალბათობით, თქვენ უფრო მაგარ შედეგს დადებთ თუნდაც მხოლოდ ყურადღებით მოსმენით!

დ) პირადი მაგალითი. ოო, ეს არ უნდა მეხსენებინა? კიი, ესაა მთავარი: თუ თქვენ წიგნს არ კითხულობთ და კომპს თამაშობთ, თქვენს შვილთან ვერ იქნებით დამაჯერებელი, როცა ჯოისტიკით ხელში შენიშვნას მისცემთ — წიგნი წაიკითხეო.

თქვენც მიიღეთ განათლება, მიიღეთ ახალი, საინტერესო ინფორმაცია.

დრო არ გაქვთ? გამონახეთ 1 საათი დღეში და მერე თავად მოგინდებათ დროის გაზრდა.

ე) შინაარსიანად გაერთეთ. გართობას არ სჭირდება ფული, გართობას სჭირდება მეგობრობა!

ვ) დაღლილი ხართ? ბავშვებთან გართობით დასვენება საუკეთესოა.

ვერ ერთობით? ბავშვურად ცადეთ.

ბოლოს, მარკეტინგულად რომ მივუდგეთ, თუ თქვენი სამიზნე აუდიტორია არის თქვენი შვილი და გინდათ, მას განათლება მიაღებინოთ, საუკეთესო სიტუაციაში ხართ:

იდეალურად იცნობთ, თუ არ იცნობთ, თქვენი ბრალეულობაა და არა მისი,

დიდ ხანს ატარებთ მასთან და, შესაბამისად, დიდი არჩევანი გაქვთ, სწორი დრო და ფორმა მოუნახოთ განათლებაზე სასაუბროდ.

და მთლად ბოლოს, ეს პუნქტები არაფერია იმასთან შედარებით, რასაც თავად აღმოაჩენთ. ყველა ბავშვი ინდივიდუალურია. ვერც ერთი ზოგადი რჩევა და პროგრამა ვერ იქნება ისეთი პროდუქტიული და ეფექტური, როგორიც თქვენი ინდივიდუალური მიდგომა. მერე იქნებ თქვენც თქვენი საკუთარი სკოლა გააკეთოთ, როგორც მე გავაკეთე კრეატივის სკოლა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ავტოფარეხში მივიწყებული ჩაიდანი უძვირფასესი ნივთი აღმოჩნდა

ინგლისელმა ავტოფარეხში იპოვა უძველესი ჩაიდანი და გაარკვია, რომ ის სინამდვილეში ჩინეთის იმპერატორის კუთვნილი ღვინის ჭურჭელი იყო, რომლის ფასი შესაძლოა 100 ათასი ფუნტი იყოს.



51 წლის პენსიაზე მყოფმა მუშამ კორონავირუსის ინფექციის გამო დაწესებული მკაცრი თვითიზოლაციის დროს გადაწყვიტა, ავტოფარეხი დაელაგებინა და იქ ძველ ჩაიდანს მიაგნო. ოდესღაც ემალით მოხატული ჩაიდანი დედამისის კაბინეტს ამშვენებდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, ათი წლის განმავლობაში ყუთში მოთავსებულს და ავტოფარეხში მიგდებულს მტვერი ედებოდა.

თავდაპირველად ინგლისელს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ნივთის საქველმოქმედო მაღაზიისთვის გადაცემა სურდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ ყოველი შემთხვევისთვის სპეციალისტისთვის შეეფასებინა. აუქციონისტმა მამაკაცს განუცხადა, რომ ეს ნივთი არა ჩაიდანი, არამედ ღვინის ჭურჭელი იყო, რომელიც, როგორც ჩანს, ოდესღაც ჩინეთის იმპერატორ ციანლუნს ეკუთვნოდა.

მამაკაცის თქმით, ეს ნივთი, რაც თავი ახსოვს, მათ ოჯახში ინახებოდა.

— ვფიქრობთ, რომ ინგლისში ის ჩინეთიდან ჩემმა პაპამ ჩამოიტანა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იქ იმყოფებოდა და დაჯილდოვებული იყო სამხედრო მედლით „ბირმანული ვარსკვლავი“, — განმარტა ინგლისელმა.

აუქციონი, რომელზეც აღნიშნულ ნივთს გასაყიდად გაიტანენ, 24 სექტემბერს გაიმართება. მისი ფაქტიური ღირებულება 20-დან 40 ათას ფუნტ სტერლინგამდეა, თუმცა აუქციონზე მისმა ფასმა შესაძლოა 100 ფუნტამდე აიწიოს.

# ხვადმა ლომმა ძუ ლომს მონადირებული იმპალა წაართვა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ხვადი ლომი თავს დაესხა ძუ ლომს და მის მიერ მონადირებული და მოკლული ანტილოპა იმპალა წაართვა, ამ ყველაფერს კი იქვე ახლოს მიმალული ლეოპარდი ადევნებდა თვალს.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს ძუ ლომი, რომელიც ხეზე დგას და პირით მოკლული იმპალას ლეში უჭირავს. რამდენიმე წამში ხეზე ხვადი ლომი აიჭრა და ძუს ნანადირევი წაართვა. ამ სცენას თვალს ადევნებდა ლეოპარდი, რომელიც იმავე ხის ზედა ტოტებში იყო განაბული.

მშიერმა ძუმ ცადა, ხვადისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ ვერაფერს გახდა. ხვადმა ნანადირევი წაართვა და ხიდან ჩამოხტა.

# ცხენირემი მამაკაცს დაკარგული ქალის გადარჩენაში დაეხმარა

ესტონეთის ქალაქ პაიდეს მკვიდრმა გზააბნეული ხანდაზმული ქალი ცხენირემის წყალობით გადაარჩინა.



სამშაბათ დილით, ფოტოგრაფი მარკო ჰაუტი სეირნობდა, როდესაც გზის პირას მდებარე გუბურას გვერდით მწოლიარე მსხვილი ცხოველი შენიშნა. ფოტოგრაფმა იფიქრა, რომ ის ან დათვი ან ცხენირემი იყო და თავისთან ბუნების ფოტოგრაფ იან ვუტიას უხმო, რათა მას ფოტოსურათები გადაეღო და იმის გარკვევაში დახმარებოდა, თუ რა ცხოველთან ჰქონდა საქმე. თუმცა მას თან მხოლოდ ტელეფონი ჰქონდა. მაშინ ჰაუტი ფოტოკამერის მოსატანად ველოსიპედით სახლისკენ გაემართა.

იმ დროისთვის, როდესაც ის უკან დაბრუნდა, ცხოველი ადგილზე აღარ იყო, მხოლოდ მის მიერ გათელი ბალახი დახვდა.

როდესაც მამაკაცები ახლოს მივიდნენ, მათ თხრილში ხანდაზმული ქალი შენიშნეს, რომელიც იქიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდა.

როგორც გაირკვა, ქალი წინა დღეს სასეირნოდ გავიდა და სახლში აღარ დაბრუნებულა. მას პოლიცია ეძებდა, მაგრამ ვერ მიაგნეს. ქალი ღამით სიცივისგან სქელმა ჯემპრმა დაიცვა.

ვუტიამ ექიმები გამოიძახა და მას სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

— ამ ისტორიაში ყველაზე დაუჯერებელი ისაა, რომ ცხენირემი სწორედ იმ ადგილთან იწვა, სადაც მოხუცი ქალი თხრილიდან ამოსვლას ვერ ახერხებდა... მან თითქოსდა სპეციალურად მიიპყრო ყურადღება. იქნებ ეს ღვთიური ჩარევა იყო, — აღნიშნა ჰაუტმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საბურთალომ და დილამ ლიდერობის შანსი ხელიდან გაუშვეს

**საბურთალო-მერანი 0:0**
**<u>თბილისი. მიხეილ მესხი</u>**
**მე-80 წუთზე ბუმალიმ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)**

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, კაკუბავა, გრიგალაშვილი, მაჭარაშვილი (გულიაშვილი 55), ტერა (შ.ნონიკაშვილი 66), ალთუნაშვილი, ბუმალი, ქავთარაძე, ლუმუ (გოჩოლეიშვილი 81)

**მერანი:** თევდორაძე, გაფრინდაშვილი, ვასაძე, მიქაბერიძე (ბოლქვაძე 56), დეისაძე (მახარობლიძე 75), კახელიშვილი, გეწაძე, ფოფხაძე, ხაბულიანი (ფიფია 68), თევზაძე, დათუნაიშვილი



საბურთალომ გალიდერების მშვენიერი შანსი გაუშვა ხელიდან. თემურ შალამბერიძის გუნდმა აუტსაიდერ მერანთან 2 ქულა დაკარგა – მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა.

მასპინძლებს 3 ქულის მოპოვება მართებდათ. თამაშის მიმდინარეობისას რამდენიმე ხიფათი შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მე-80 წუთზე კი გოლის გატანა მართებდათ, მაგრამ ბუმალის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანი რევაზ თევდორაძემ მოიგერია.

**დილა-თელავი 0:0**
**<u>გორი. თენგიზ ბურჯანაძე</u>**

**დილა:** გუგეშაშვილი, ლაცაბიძე (სილვა 62), ხურცილავა, მაისაშვილი (იედეუნტი 75), სანტოსი, ეტოუ, ნონდი, ლექვთაძე (მარკოზაშვილი 46), გაგნიძე, სპანდერაშვილი, კოვტალიუკი

**თელავი:** თანდილაშვილი, მარაქველიძე, ჩუკვურა, დიმიტროვსკი, ძოწენიძე, ჩაბრაძე, მ.ბაშელეიშვილი (მოისწრაფიშვილი 81), რუხაძე (სამუშია 73), ნ.ბაშელეიშვილი, მოსიაშვილი, კოხრეიძე (კვასოვი 69)

გატანილი გოლების გარეშე დასრულდა გორის დილასა და თელავის შეხვედრაც. გორელებსაც ჰქონდათ გალიდერების შანსი. ერთია, უეჭველად მოსაგები თამაში არ ჰქონიათ, რადგან ორივე გუნდის კართან მრავლად იყო სახიფათო მომენტები, მაგრამ გოლის გატანამდე საქმე არ მისულა.

საბოლოოდ, გუნდებმა ქულები გაიყვეს. ეს კი თელავის მე-8 ფრეა მე-11 შეხვედრაში...

**ტორპედო-სამტრედია 2:1**
**<u>ქუთაისი. რამაზ შენგელია</u>**
**1:0 მამასახლისი (49პ), 1:1 ყურბანოვი (64პ), 2:1 ციცქიშვილი (69)**

**ტორპედო:** შოვნაძე, ტაბატაძე (შარვაშიძე 77), მირცხულავა, ნადარაია, გრიგალაშვილი, ადამაძე, ბობკო, მამასახლისი (მარკოვიჩი 59), ციცქიშვილი, იონანიძე (ქაფიანიძე 70), ფანცულაია

**სამტრედია:** სიკაჩი, რუხაია, კილასონია, ახალაძე, ჯგერენაია (კვირკვია 46), თოთაძე, დაფე (ინკუმი 85), ყურბანოვი, დისი, პავიშიჩი (იმნაძე 82), თარგამაძე

ერთადერთი მატჩი, სადაც ტურის ბოლო სათამაშო დღეს გოლები გავიდა, იმერული დერბი იყო. ქუთაისში ერთმანეთს ტორპედო და სამტრედია დაუპირისპირდნენ. მასპინძლებმა პრინციპული მატჩი ანგარიშით 2:1 მოიგეს და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესეს.

მასპინძელთა მხრიდან გოლები ოლეგ მამასახლისმა (პენალტით) და ზაზა ციცქიშვილმა გაიტანეს. ამ გოლებს შორის ნიჯატ ყურბანოვმაც გაიტანა 11-მეტრიანი დარტყმით.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 11 | 6 | 4 | 1 | 19-5 | 22 |
| 2.დინამო (ბთ) | 11 | 5 | 5 | 1 | 19-9 | 20 |
| 3.საბურთალო | 11 | 5 | 5 | 1 | 19-9 | 20 |
| 4.დილა | 11 | 5 | 5 | 1 | 17-7 | 20 |
| 5.ლოკომოტივი | 11 | 4 | 4 | 3 | 15-15 | 16 |
| 6.თელავი | 11 | 2 | 8 | 1 | 9-6 | 14 |
| 7.ტორპედო | 11 | 3 | 3 | 5 | 10-17 | 12 |
| 8.სამტრედია | 11 | 2 | 3 | 6 | 8-18 | 9 |
| 9.მერანი | 11 | 0 | 5 | 6 | 4-16 | 5 |
| 10.ჩიხურა | 11 | 1 | 2 | 8 | 10-28 | 5 |

# ტიმმა და ოსაკამ ამერიკა დაიპყრეს

არაერთი ფაქტორის გათვალისწინებით, კორონავირუსის პანდემიის შემდეგ გამართული პირველივე „დიდი სლემი“ ულიმლამო გამოდგა, მაგრამ ისტორიაში ჩაიწერება – 2020 წლის ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი დომინიკ ტიმი.

არადა, ფინალში უფრო დაძაბულ სიუჟეტს მაგარი სცენარისტიც ვერ შექმნიდა. გერმანელი ალექსანდრ ზვერევისა და ავსტრიელი დომინიკ ტიმის შეხვედრაში სასწორის პინა ორივე მხარეს არაერთხელ გადაიხარა.

ზვერევმა საწყისი 2 სეტი ერთი ამოსუნთქვით, 6:2, 6:4 მოიგო და დიდი ნაბიჯი გადადგა პირველი დიდი ტიტულისკენ, თუმცა მომდევნო 2 სეტში ტიმმა მეტოქის უპირატესობა გაანულა – 6:4, 6:3.

მე-5 სეტში ზვერევი 5:3-ზე თავად აწვდიდა, მაგრამ ტიმმა მოახერხა თავის დაცვა. 6:5-ზე უკვე ტიმი აწვდიდა და ვერც მან დასვა წერტილი. საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც ზვერევმა 4:6-დან 2 მატჩბოლი მოიგერია, მაგრამ შემდგომ 2 გათამაშებასთან ერთად ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონის ტიტული მაინც ავსტრიელს დაუთმო.





დომინიკ ტიმმა პირველად მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირი.

საინტერესო ფაქტია: 2014 წლის შემდეგ ამერიკის ღია ჩემპიონატს მხოლოდ ისინი იგებდნენ, ვისაც პირველობა იქამდეც ჰქონდა ნაგემი. ავსტრიელმა მცირედი, მაგრამ მაინც კორექტივი ტურნირის ისტორიაშიც შეიტანა.

საინტერესო გამოდგა ქალთა ფინალიც, სადაც იაპონელმა ნაომი ოსაკამ 3 სეტში მოუგო ბელარუს ვიქტორია აზარენკას და ბოლო 3 წელიწადში მეორედ მოიგო ნიუ იორკის ტურნირი.

პირველი სეტი მთლიანად აზარენკას კარნახით მიდიოდა. ბელარუსი ძალიან მაღალ ტემპში თამაშობდა, აგრესიულად მოქმედებდა, ძლიერ დარტყმებს ასრულებდა და დამაჯერებლად მიჰყავდა თამაში. შედეგად, აზარენკამ 3 ბრეიკი შეასრულა და ნახევარ საათზე ნაკლებ დროში აიღო პირველი სეტი – 6:1.

მე-2 სეტის დასაწყისში ბელარუსმა სტარტზევე შეასრულა ბრეიკი და 2:0 დაწინაურდა, რითაც ფინალი ყველას დასრულებული ეგონა, მაგრამ...

ნაომიმ იზრუნა უკუბრეიკის შესრულებაზე და მატჩში პირველივე ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, რამაც მას სრული უპირატესობა მოუტანა. 2:3-ზე იაპონელმა ზედიზედ 4 გეიმი აიღო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

მე-3 სეტის დასაწყისში ინიციატივა უკვე ოსაკას ხელში იყო. მან 4:1 დაწინაურება შეძლო და მომდევნო გეიმში 4 ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა, მაგრამ აზარენკამ ჯერ თავისი მოწოდება გადაარჩინა, შემდეგ კი საპასუხო ბრეიკი შეასრულა – 3:4. თუმცა, ოსაკა არ დაიბნა და ბოლო 2 გეიმის მოგება შეძლო. საბოლოოდ – 1:6, 6:3, 6:3.

22 წლის იაპონელი აშშ-ის ღია პირველობის 2-გზის ჩემპიონია, სულ კი „დიდი სლემის“ ტურნირებზე 3-ჯერ გაუმარჯვია (3 ფინალიდან). ოსაკა 6 საფეხურით მაღლა აიწევს რეიტინგში და მესამე ჩოგანი გახდება.

# შედეგები

**13 სექტემბერი**
**<u>ფეხბურთი</u>**

**ინგლისი. პრემიერლიგა**
ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი ............ 0:3
ტოტენჰემი-ევერტონი ............ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**
ალავესი-ბეტისი ............ 0:1
ვალიადოლიდი-სოსიედადი ............ 1:1
ვილიარეალი-უესკა ............ 1:1
ვალენსია-ლევანტე ............ 4:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**
ოვიედო-კარტახენა ............ 0:0
მალიორკა-რაიო ............ 0:1
მირანდესი-ალკორკონი ............ 0:0
ფუენლაბრადა-ლუგო ............ 2:0
ტენერიფე-მალაგა ............ 2:0

**საფრანგეთი.ლიგა ............ 1**
ლილი-მეცი ............ 1:0
ანჟე-რეიმსი ............ 1:0
დიჟონი-ბრესტი ............ 0:2
ლორიანი-ლანსი ............ 2:3
ნიმი-რენი ............ 2:4
მონაკო-ნანტი ............ 2:1
პსჟ-მარსელი ............ 0:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**
ემენი-ვენლო ............ 3:5
სპარტა-აიაქსი ............ 0:1
ერაკლესი-დენ ჰააგი ............ 2:0
გრონინგენი-პსვ ............ 1:3
ვალვაიკი-ვიტესი ............ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**
დინამო-რუბინი ............ 0:1
ცსკა-სპარტაკი ............ 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
რიდი-ტიროლი 3:2
სტ.პოლტენი-შტურმი 0:0
ვოლფსბერგერი-ზალცბურგი 1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**
ანდერლეხტი-სერკლი 2:0
სტ.ტრუიდენი-ანტვერპენი 2:3
ვარეგემი-შარლერუა 0:2
კორტრაიკი-მუსკრონი 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
ატრომიტოსი-ვოლოსი 0:2
ასტერასი-პანათინაიკოსი 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**
ანკარაგიუჯიუ-ერზრუმი 1:2
ქაისერი-ქაშიმფაშა 1:0
ანთალია-გენჩლერი 2:0
ტრაბზონი-ბეშიქთაში 1:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**
პოგონი-ვისლა ............ 2:2
გურნიკი-ლეხია ............ 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**
მინაი-ოლექსანდრია ............ 1:0
ზორია-მარიუპოლი ............ 0:1
ვორსკლა-ინგულეცი ............ 2:0

**დანია. სუპერლიგა**
ლუნგბიუ-ოლბორგი ............ 0:0
ჰორსენსი-რანდერსი ............ 0:3
ბრონდბიუ-ნორდსიელანდი ............ 3:2
ოდენსე-კოპენჰაგენი ............ 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**
ფალკენბერგი-გიოტებორგი ............ 0:3
ჰამარბი-ჰელსინბორგი ............ 2:2
მალმიო-აიკი ............ 0:0
მიალბი-ვარბერგი ............ 2:3

**<u>ნორვეგია. ელიტსერია</u>**
ბოდო გლიმდტი-ოდ გრელანდი ............ 6:1
მიონდალენი-სანდერფიორდი ............ 0:2
ალესუნდი-სარპსბორგი ............ 0:1
სტრომგოდსეტი-რუსენბორგი ............ 3:3
ვალერენგა-ბრანი ............ 5:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბარსელონის ნაცვლად რეალში

ესეც მოულოდნელი ამბავი. მთელი ზაფხული ის იწერებოდა, რომ მილანის ინტერის არგენტინელი თავდამსხმელი ლაუტარო მარტინესი ბარსელონაში გადავიდოდა და უცებ... მადრიდის რეალიო. ევროპული მედიის ცნობით, 23 წლის ფორვარდის ტრანსფერი კლუბებმა უკვე შეათანხმეს.

იტალიელები ამ ტრანსფერს იმიტომ ასაიდუმლოებდნენ, რომ ბარსელონიდან არტურო ვიდალის გადაბირება უნდოდათ, კატალონიელებს კი – ვიდალის ჩართვა მარტინესის ტრანსფერში.

როგორც ჩანს, იტალიურმა მხარემ მარტინესი უფრო სარფიანად გაასაღა. წერენ იმასაც, რომ მარტინესში მიღებული თანხით აშრაფ ჰაკიმში გადახდილ 40 მილიონ ევროს დაფარავენ. აგრეთვე ამბობენ, რომ მარტინესის სანაცვლოდ რეალიდან ინტერში იჯარის წესით წავა ლუკა იოვიჩი, ამასთან, მილანელებს გამოსყიდვის უფლებაც ექნებათ.



საინტერესოა ისიც, რომ მარტინესის ხელფასი წელიწადში 8 მილიონი ევრო იქნება. ეს 3 მილიონით მეტია იმაზე, რაც ინტერში ჰქონდა, მაგრამ 2 მილიონით ნაკლები, რასაც ბარსელონა სთავაზობდა.


# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე დავარი, შვილები მამუკა და მაია სიხარულიძეები, ცოლისდა დალი ომიაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაურ ილიას ძე სიხარულიძე**

პანაშვიდი: 15, 16 სექტემბერს;
გამოსვენება: 17 სექტემბერს, 15 საათზე;
მისამართი: ქ.თბილისი, ზოვრეთის ქ.№11

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 2. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 3. მდინარე ბოლნისში; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიეტუვაში; 8. ბერ-მონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო კომპლექსი; 9. მკვეთრად გამოხატული სხვაობა; 11. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. აეროპორტი პარიზში; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. ავსტრიელი ექიმ-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 21. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

**თარაზულად:** 5. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 6. ჩაუკეტავი მრუდი, რომლის ყოველი წერტილი თანაბრად არის დაშორებული ფოკუსიდან; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 13. აეროპორტი ტოკიოში; 15. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 20. სპორტული იარაღი აკრობატული ხტომებისათვის; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე წამალთმცოდნე; 23. დიდი ზომის სარეკლამო პლაკატი; 24. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რუბენსი; 2. ბროსნანი; 3. ალგებრა; 5. საქსონია; 7. ჭიანური; 9. იაკიტორია; 13. პანკისი; 15. იგუასუ; 16. მადონა; 18. უფიცა.

**თარაზულად:** 4. კუროსავა; 6. აბრსკილი; 8. მელიქიშვილი; 10. მანდელა; 11. კარე; 12. ბრუნეი; 14. გინზა; 17. ლონჟა; 19. კუკია; 20. უორდროპი; 21. აული; 22. ხუზისტანი; 23. ფაიფური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაჩუბი; 2. მაღრაძე; 3. კაკანათი; 4. ფიტარეთი; 8. ბერიკაობა; 9. ალგოლოგია; 11. ათაბაგი; 12. დუყი; 14. ალია; 17. ნოვატორი; 19. კამენა; 21. აგავა.

**თარაზულად:** 5. მაღარიჩი; 6. ილუმენია; 7. ბობოყვათი; 10. დალესი; 13. ალგეთი; 15. ტყიბული; 18. კოპოლა; 20. ელიავა; 22. პომოლოგია; 23. ბრუკლინი; 24. კვესტურა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1140

ევრო — 3.6929

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9931

100 რუსული რუბლი — 4.1599

## ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისათვის




## ცისანა სეფიაშვილი პოლიტიკაში წავიდა



მომღერალი ცისანა სეფიაშვილი პოლიტიკაში წავიდა და არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსის“ ეგიდით მონაწილეობს.

ცისანა ირმა ინაშვილისა და დავით თარხან-მოურავის გუნდში ოფიციალურად გაწევრიანდა და ის პარტიის საარჩევნო სიის მეცხრე ნომერია. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხელოვანი პოლიტიკაში მიდის. მხოლოდ წელს პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს პოეტებმა ნიკა ჩერქეზიშვილმა, როინ აბუსელიძემ და გენრი დოლიძემ, მომღერლებმა ნუგზარ კვაშალმა და ცისანა სეფიაშვილმა, მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ, იუმორისტმა გეგე სულხანიშვილმა და რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ.

## ნატო დუმბაძე: „ის ხალხი სად არის, ეკლესიასა და ზიარებაზე რომ ღლიცინებდა?“



ამ კითხვით საზოგადოებას პროდიუსერი ნატო დუმბაძე მიმართავს და თავადვე პასუხობს:

— ისე, ის ხალხი სად არის, ეკლესიასა და ზიარებაზე რომ ღლიცინებდა? ახლა მაინც დარწმუნდნენ, რომ ღვთის სახლს ვერაფერი მოერევა? ხან დენდროლოგიურიო, ხან დონაო, ხანაც ქორწილიო.

მოედო? — მოედო! გაგანია ვირუსის დროს ერთი ადამიანიც რომ არ გაკლასტერდა ტაძარში, ახლა რას ფიქრობენ ნეტა? თუმცა არც მაინტერესებს მათი აზრი! დიდება უფალს!

## თიკა ფაცაცია ონლაინსწავლებას აპროტესტებს



მომღერალი და წამყვანი თიკა ფაცაცია ონლაინსწავლებას აპროტესტებს და ამ გზით სრულფასოვანი ცოდნის მიღებას შეუძლებლად მიიჩნევს:

— სამი შვილი მყავს — პირველკლასელი, მეოთხეკლასელი და სტუდენტი. სამივეს ონლაინ უწევს სწავლა... რამდენი კომპიუტერი, რამდენი ოთახი და რამდენი ასისტენტი სჭირდება მათ? ერთმანეთსაც ვერ დაეხმარებიან, ხომ? ყველას თავისი გაკვეთილი აქვს.

როგორ უნდა შეძლონ სრულფასოვანი სწავლა, ყველა ლინკის ჩართვა და დასწრება, თან სკოლა ითხოვს მზადყოფნას, რომ არ შეჩერდეს პროცესი რომელიმე მოსწავლის გამო და შემდეგ მეცადინეობა. მაინტერესებს, მშობელმა რა ქნას? როგორ იცხოვროს, იმუშაოს, თუ გაუმართლა და სამსახური აქვს და ეს დაამენეჯმენტოს? მაინტერესებს, რა პასუხი აქვს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

## კახა კუხიანიძე: „რატომ არ გრძელდება ბანკებისგან სესხის გადავადება?!“



მომღერალი კახა კუხიანიძე ბანკებისგან სესხების გადავადებას ითხოვს, რადგან თვეებია, უმუშევარია:

— მაინტერესებს, საბავშვო სფეროს ვინც ვემსახურებით და მე-7 თვეა, უმუშევრად ვართ, ვიყიდეთ მთავრობისგან მითითებული საჭირო სადეზინფექციო ხსნარები, დეზობარიერები, სტიკერებით მოვრთეთ ობიექტი, თერმომეტრი, სპეციალური ხსნარებით დასუფთავდა და 2 დღით ავამუშავდით.

რატომ არ გრძელდება ბანკებისგან სესხის გადავადება?! კიდევ მაქვს კითხვები და ვის მივმართო? ვრეკავ ცხელ ხაზზე და უშედეგოა. ველი გამოხმაურებას.

## ასტროპროგნოზი



### 15 სექტემბრისათვის

**ვერძი** — დაისვენეთ, შეხვდით საყვარელ ადამიანებს. გიძლიერდებათ აურა. **კურო** — ნუ გადაიღლებით. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. პრობლემის მოგვარებაში თქვენთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. **ტყუპები** — დაუმთავრებელი საქმე უსიამოვნებას შეგიქმნით. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **კირჩხიბი** — მატერიალურ სფეროში ცვლილებები ჩვეულებრივად მიიღეთ. ნუ ეცდებით ღია კარის შემტვრევას. **ლომი** — ინტიმურ სფეროში, მეგობრებთან ურთიერთობაში გიმართლებთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **ქალწული** — საქმიან პარტნიორთან მოლაპარაკებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ეცადეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. **სასწორი** — ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი, განსაკუთრებით — ოჯახის წევრების მიმართ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **მორიელი** — კეთილისმყოფელი დღეა ფინანსური ოპერაციებისათვის. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **მშვილდოსანი** — ნუ ეცდებით, ყველას თავი მოაწონოთ. ენერგია დაზოგეთ. **თხის რქა** — საქმიანი მოლაპარაკებები ჩიხში შევა. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **მერწყული** — ერიდეთ მუდამ უკმაყოფილო ადამიანებთან ურთიერთობას. ძველი ვალი დააბრუნეთ. **თევზები** — მოსალოდნელია დაძაბულობა, სტრესი. სიმშვიდე შეინარჩუნეთ და პრობლემები რაციონალურად გადაწყვიტეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

•••

ტელეფონის ზარი:
— ალო, სახლში ხარ?
— და შენ ვინ ხარ?
— ქმარი.
— ჩემი სახლშია!
— აბა, მე ვისი ქმარი ვარ?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
— რა ჰქვია ქალს, რომელმაც ყოველთვის იცის, სად არის მისი ქმარი?
— ქვრივი.

•••

სისხლის გადასხმის სადგურში მისული მამაკაცი ექიმს ეკითხება:
— ექიმო, რამდენი სისხლი უნდა ჩავაბარო იმისთვის, რომ ერთი დღით სამსახურიდან გავეთავისუფლო?
— სამასი გრამი.
— და ერთი კვირით რომ გავეთავისუფლო?
— მაგდენის ჩაბარებას ვერ შეძლებთ!
— შევძლებ, ექიმო, შევძლებ! სიდედრის სისხლი მოვიტანე.

•••

სექსის შემდეგ კაცი ქალს ეუბნება:
— მაპატიე, მაგრამ სერიოზული ურთიერთობებისგან დასასვენებლად დრო მჭირდება.
— და რა დრო გჭირდება?
— 20-30 წელი.

•••

ტელეფონის ზარი:
— ალო ჰიდრომეტცენტრია?
— დიახ.
— ვერ მეტყვით, ხვალ როგორი ამინდი იქნება?
— რა ტვინი შეგვიჭამეთ! არ შეგიძლიათ, ხვალ დილით ფანჯარასთან მიხვიდეთ ან აივანზე გახვიდეთ?!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
— 50 წლის შემდეგ სიკვდილი არც ისეთი საშინელებაა.
— იცი რა, 50 წლის შემდეგ სიცოცხლეც არც ისეთი საშინელებაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნეიმარი: „მარსელის ფეხბურთელმა მახინჯი მაიმუნი მიწოდა“



პსჟ-სა და მარსელის შეხვედრის დასასრულს მოედანზე მასობრივი ჩხუბი ატყდა, რის შემდეგაც მოედნიდან 5 ფეხბურთელი გააძევეს. ერთ-ერთი მათგანი ნეიმარი იყო, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა, რომ მას რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფა მიაყენეს.

ნეიმარის აზრით, მას შეეძლო, უფრო მძაფრი რეაქციაც ჰქონოდა, მაგრამ თავი შეიკავა:

— ერთ-ერთმა ფეხბურთელმა მახინჯი მაიმუნი მიწოდა, რაც დიდი შეურაცხყოფაა და შემეძლო, მისთვის დამერტყა კიდეც, მაგრამ თავი შევიკავე. როდესაც ფეხბურთელი ხარ, არის რაღაცები, რაც არ უნდა იკადრო.

## დიეგო სიმეონეს კორონავირუსი დაუდასტურდა



მადრიდის ატლეტიკოს მთავარ მწვრთნელ დიეგო სიმეონეს კორონავირუსი დაუდასტურდა. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება.

ინფორმაციის მიხედვით, სიმეონეს ვირუსი რამდენიმე დღის წინ დაუდასტურდა, თუმცა ის ჯერჯერობით ამაზე კომენტარს არ აკეთებს. ერთი თვის წინ კორონავირუსი ატლეტიკოს ფორვარდ დიეგო კოშტას დაუდგინდა, თუმცა მალე გამოჯანმრთელდა.

ესპანეთში, სიმეონეს გარდა, კიდევ რამდენიმე მწვრთნელია დაინფიცირებული.

## დელე ალი: „საკუთარ პოზიციაზე არ ვთამაშობ“



ტოტენჰემის ფორვარდმა დელე ალიმ ევერტონთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ის საკუთარ პოზიციაზე არ თამაშობს და ამის გამო თავის საუკეთესო ფეხბურთს ვერ აჩვენებს. დელე ალის თქმით, ის მწვრთნელის საქმეში არ ერევა, ამიტომ მის მაგივრად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს:

— ვფიქრობ, სხვა პოზიციაზე გაცილებით უკეთესად ვითამაშებდი, მაგრამ გადაწყვეტილებას მე არ ვიღებ, ამიტომ მწვრთნელს ყოველთვის დავემორჩილები.

## ლამპარდი: „ჩელსის ტრანსფერებით კმაყოფილი ვარ“



ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ფრენკ ლამპარდმა განაცხადა, რომ ტრანსფერებით კმაყოფილია და სჯერა, ახალი ფეხბურთელები მის გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებენ. ლამპარდმა განსაკუთრებით ტიმო ვერნერი გამოყო, რომელიც გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება:

— ჩვენ ზაფხულში ნამდვილად გავძლიერდით და ეს სწორი სატრანსფერო პოლიტიკის ბრალია. იმედი მაქვს, მომავალში ახალი ფეხბურთელები თავიანთ ღირებულებას გაამართლებენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ეკა კვალიაშვილი კულტურული ღონისძიებების სახლებში გამართვის იდეით გამოდის



მომღერალი ეკა კვალიაშვილი გამოდის იდეით, დაბრუნდეს ძველი დროის ტრადიცია და კულტურული ღონისძიებები სახლებში გაიმართოს:

— იდეა მაქვს, აღვადგინოთ ფრანგული ძველი წესი, რომელიც თბილისშიც იყო შემოსული აქტიურად. სალონები — სახლებში გავმართოთ ჩვენი შემოქმედების პრეზენტაციები და საღამოები სალონურ სიტუაციებში, გამოფენები, ჯემსეიშენები, კონცერტები, კლასიკური შეხვედრები, აღვადგინოთ ჩვენი კულტურა და ნიჭი. ადრე ჩემი დიდი ბებიას სახლში, მაჩაბელზე, იმართებოდა პრეზენტაციები, კომპოზიტორ ჩუბინიშვილის სიმღერების წარდგენა ხდებოდა მარიამის სალონ-სახლში.

აი, ჩემს სახლში და ჩემს სფეროში მე დავიწყებ ამას, ბიზნესგეგმას მე შევიმუშავებ და ყველა შეხვედრის პირობები გვეცოდინება! სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ ჯერ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 2. იტალიელი კინორეჟისორი; 3. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 5. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 7. ადმინისტრაციული ორგანო საბჭოთა კავშირში; 9. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვა; 13. მდინარე ერევანში; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 18. წამლის დამზადების ერთ-ერთი ფორმა.

**თარაზულად:** 4. ქართული ხალხური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. ფრანგი მწერლის ანრი ბეილის ნამდვილი გვარი; 8. ქართველი მოჭადრაკე, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 10. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 11. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორე სახელმწიფოს მთავრობისადმი; 12. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 14. უბანი თბილისში; 17. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 19. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 20. თანამდებობის პირთა, პოლიტიკოსთა მოსყიდვა; 21. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 22. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

